სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 თებერვალი 2006 №22 (2644) ფასი 50 თეთრი

180-გრადუსიანი ამბავი

წილისყრის მერე: ტოპმიოლერი პარიზში არ მიდის. გუშინ: ტოპმიოლერი პარიზში მიდის!

წაგებანი და გაგდებანი

ხიზანიშვილის ბლექბერნმა მანჩესტერზე შური იძია! არსენალს ჩაჭუჩი მოხვდა! ბარსელონა და იუვენტუსი: ლიდერგაგდებულები გაგდეს!

არსენალი 2:3 ვესტ ჰემი

ბლექბერნი 4:3 მანჩესტერი

რონალდინიოს და „ბარსელონას", იბრაჰიმოვიჩს და „იუვენტუსს" თასზე წითელი აუნთეს

ტოპმ თბილისში ჩამოსვლა იუარა

პარიზში საქართველო ფარერებისთვის იბრძოლებს

კლაუს ტოპმიოლერი 5 თებერვალს თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, რათა 7-ში და 9-ში საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩებისთვის მიედევნებინა თვალი. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა განრიგი შეცვალა...

გადრი ჯუმილაძის ფოტო

— ტოპმიოლერმა პარიზში წამოსვლის სურვილი გამოთქვა და, ბუნებრივია, ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო. შესაბამისად, ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრებს ვერ დაესწრება და 9 თებერვალს გერმანიიდან პირდაპირ პარიზში ჩამოვა. 7 და 9 თებერვალს აზერბაიჯანელებთან მატჩებს მისი თანაშემწეები, რალფ მინგე და ჭაინც ტოპმიოლერი დაესწრებიან.

— ახლახან გვითხარით, ლიტველებთან ვილნიუსში მატჩით გვსურს შესარჩევი ციკლის დაწყება...

— კარგი იქნებოდა, ლიტვასთან სტუმრობის მერე თბილისში ფარერები მიგველო. ვფიქრობ, ფარერებთან პირველ ტურებში შეხვედრისთვის პარიზში ნამდვილი „წყვეტა“ იქნება. ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

— საქართველოს ნაკრებთან შეხვედრისთვისაც ხომ არ არის მოსალოდნელი „წყვეტა“?

— არა მგონია...

— უკრაინელები პარიზში ერთი დღით გვიან აპირებენ ჩასვლას. რას უნდა ნიშნავდეს მათი პასიურობა?

— ამით ალბათ უნდათ გვაგრძნობინონ, ძალიან ძლიერები ვართ და კალენდარს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთო. პარიზში 9 თებერვალს ვიკრიბებით, სურკისი და ბლოხინი კი 10-ში აპირებენ ჩამოსვლას. მეორე სამუშაო დღეც იტალიელთა თხოვნით დავგეგმეთ — ეგებ 9-ში ვერ შევთანხმდეთო. ასე რომ, თბილისში 11 თებერვალს დავბრუნდებით და მალტის ტურნირისთვის მზადებას დავიწყებთ.

— შევიტყვეთ, რომ მალტაში ჩარტერით გამგზავრება არ გამოდის...

— ჩარტერისთვის „ბოინგის“ დაქირავება არ ხერხდება, საბჭოურ „ტუ“-ებს კი ევროპის აეროპორტები აღარ იღებენ. მალტამდე მგზავრობა ალბათ რომელიმე ქვეყნის გავლით, სარეისო თვითმფრინავით მოგვიწევს. დელეგაციაში 30-მდე კაცი იქნება. ყველა დეტალი, მათ შორის ისიც, რომელი ლეგიონერი რომელ შეხვედრაში შეძლებს მონაწილეობას, ერთ-ორ დღეში გაირკვევა.

— მალტაზე ჩვენი მეტოქეების ვინაობა ცნობილია — მასპინძლები, მოლდოვა და ლიბია. 1 თებერვალს კი ტურნირის კენჭისყრა იგეგმებოდა...

— ორგანიზატორებმა გვაცნობეს, რომ გარკვეული მიზეზების გამო კენჭისყრა ოთხი დღით გადაიდო, მატჩების თარიღები კი უცვლელი დარჩა — 25, 27 თებერვალი და 1 მარტი.

— მალტამდე ტექნიკური სპონსორის შერჩევა თუ ესწრება?

— პარიზის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე გერმანიაში მომიწევს გამგზავრება. „პუმას“ და „ადიდასის“ წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ დაველაპარაკები, მათ პირობებს გავეცნობით და თებერვლის შუა რიცხვებამდე გადაწყვეტილებას მივიღებთ.

— ამ დროისთვის არის ნავარაუდევი გადაწვეტილების მიღება ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებითაც. როგორ მიდის მოლაპარაკებები?

— ერთი რამის პირობას გაძლევთ, რომ სექტემბრისთვის ეროვნულ სტადიონზეც და „მიხეილ მესხზეც“ ახალი მინდორი დაიგება. 95 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ამ დრომდე „ეროვნულზე“ სკამების მონტაჟიც მოესწრება.

— ხვალ ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებთან საქმიან სადილზე არიან მიწვეულნი. ეს შეხვედრა რაიმე კონკრეტულ მიზანს ისახავს?

— ასე ვთქვათ, საგარეო ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მარტო გერმანელებთან კი არა, სხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებთან თანამშრომლობაც გვინდა. პირველი, ვისთანაც თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას გავაფორმებთ, თურქეთის ფედერაცია იქნება. ამის შემდეგ ანალოგიურ ურთიერთობებს ესენგეს ქვეყნებთან და სხვებთანაც დავამყარებთ. ხვალინდელი შეხვედრა ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია.

გიორგი ნოზაძე

ერთი კვირაც და, არგენტინა

იური გაბისკირია

გადრი ჯუმილაძის ფოტო

დიდუბის მძლეოსნობის დარბაზი ან სტუ-ს ხელოვნურსაფარიანი მოედანი — ამინდის მიხედვით უნაცვლებს ვარჯიშის ადგილს „ბორჯომი“. ჯერჯერობით სოსო ფრუიძის გუნდმა ერთადერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, მეორე კი ხვალისთვისაა დაგეგმილი. ბორჯომელთა სავარაუდო მეტოქე პირველლიგელი „თბილისი 2“ იქნება, მატჩს კი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოედანი უმასპინძლებს.

არგენტინელი ლეგიონერების თემა „ბორჯომში“ კვლავაც აქტუალურია. როგორც გუნდის მოთამაშე-მწვრთნელმა იური გაბისკირიამ გვითხრა, კლუბის პრეზიდენტი ელაპარაკა არგენტინელთა წარმომადგენელს და ისინი თბილისში 8 თებერვალს იქნებიან. სავარაუდო ახალწვეულთა შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ერთი მათგანი ნახევარმცველია, მეორე კი თავდამსხმელი.

სანამ „ბორჯომი“ სამხრეთამერიკულ შევსებას მიიღებს, საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდება რევაზ გეწაძე. წელის ტკივილებით გამოწვეული იძულებითი პაუზა და მკურნალობის ციკლი „ბორჯომის“ ნახევარმცველმა უკან მოიტოვა.

გიორგი ნოზაძე



მახარაშვილმა რკინიგზას პოლიტექნიკური დაუთქვა

— უამინდობამ მზადების გეგმაში ცვლილებები შეგვატანინა. იძულებულნი გავხდით, ვარჯიში დარბაზში გაგვეგრძელებინა და ბოლო დღეებში ვერც საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ — გვითხრა „კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა, როცა თელავში შევეხმიანეთ.

კახელთა სამზადისში უცვლელი ისაა, რომ საწვრთნელი პროცესი კვლავაც თელავში მიმდინარეობს, დედაქალაქს კი სპარინგებისთვის სტუმრობენ. უახლოესი შეხვედრა „კახეთს“ ზეგისთვის აქვს დაგეგმილი და თუ ტექნიკური უნივერსისტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანს კიდევ არ დაათოვა, სწორედ იქ შეხვდებიან თბილისურ „ლოკომოტივს“.

კადრების მხრივ თელაველთა გუნდში არანაირი სიახლე არაა. რამდენიმე ახალწვეულის გასინჯვა საკონტროლო შეხვედრებში იგეგმებოდა, თუმცა უკვე ნახსენები მიზეზების გამო ეს ჯერ ვერ მოხერხდა.

გიორგი ნოზაძე

ინგლისი

პრემიერლიგა
XXIV ტური

ასტონ ვილა 1:1 ჩელსი
სიტი 3:0 ნიუკასლი
პორტსმუთი 1:1 ბოლტონი
არსენალი 2:3 ვესტ ჰემი
ბლეკბერნი 4:3 მანჩესტერი
ლივერპული 1:1 ბირმინგემი

ჩემპიონატი
XXXI ტური

დერბი 0:1 შეფილდი

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები

ბრაუნშვაიგი — კოტბუსი *გადაიდო*
დინამო — ჰანზა *გადაიდო*

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

სენტ ეტიენი 1:3 ტულუზი

თასის
ოცდამეთორმეტედფინალი

ანჟე 1:0 ოსერი
აიაჩო 1:2დ.დ.(0:0) *ლიონი*
კოლმარი 1:0დ.დ (0:0) მონაკო
ლორიანი 0:1 *ლილი*
მარსელი 2:0 მეცი

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
გადადებული მატჩი

ლევადიაკოსი 1:0 კალამარია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

ეთნიკოსი 1:1 აგროტიკოსი
ნიკი — აეკ *გადაიდო*

მსპანეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

ბარსელონა 2:1 *სარაგოსა* (2:4)
ვალენსია 1:1 *დეპორტივო* (0:1)

ჰოლანდია

თასის
მეოთხედფინალი

გრონინგენი 2:3 ალკმარი

იტალია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

სამპდორია 2:2 *უდინეზე* (1:1)
რომა 0:1 იუვენტუსი (3:2)

შოტლანდია

ლიგის თასი
ნახევარფინალი

მოზერუელი 1:2 სელტიკი

თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი
მესამე ტური

გაზიანთეფი 1:0 ტარსუსი
დენიზლი 2:0 ძარაგიუმრუძი
ალთაი 0:4 ძაისერი
ძონია 2:0 ინეგოლსფორი
ბეშიძთაში 3:0 სამსუნი

ამხანაგური მატჩები

ჰონკონგი 0:4 ხორვატია
კორეა 1:3 დანია
ტაილანდი — ირლანდია *გადაიდო*

ხელბურთი

ევროპის ჩემპიონატი

გერმანია 36:33 სლოვენია
სერბეთი 21:29 რუსეთი
პოლონეთი 21:31 საფრანგეთი
ისლანდია 28:29 ხორვატია
დანია 35:31 ნორვეგია
უკრაინა 29:31 ესპანეთი

მამას საქართველოსი არ ეშინია

კლაუს ტოპმიოლერმა შვილი თასიდან გააგდო

სასტუმრო „არკადიაში“, სადაც „ამერი“ ანთალიურ შეკრებას გადის, ლამის ყოველდღე რომელიმე გუნდი ჩამოდის ან გასამგზავრებლად ემზადება. მოდიან ახლები და, ბუნებრივია, გაინტერესებს, რა გუნდია — თუ სახელიანია, ცნობილი ფეხბურთელების გამოცნობას ცდილობ, ხოლოდ თუ გუნდის სახელი ბევრს არაფერს გეუბნება, ერთს გახედავ და ეგ არის... „რეგენსბურგის“ სახელმა, რომელიც ანთალიაში „ამერზე“ ხუთი დღით გვიან ჩამოვიდა, ბევრი ვერაფერი მითხრა. გიორგი დეკანოსიძემ, რომელიც სამი წლის წინ მეორე ბუნდესლიგის „ფიურტში“ თამაშობდა, „რეგენსბურგში“ კი ძველი თანაგუნდელი აღმოაჩინა, მითხრა, სამხრეთ რეგიონალლიგის გუნდიაო. ჩემი ინტერესი ამ გუნდის მიმართ ამითაც ამოიწურებოდა, დეკანოსიძეს ესეც რომ არ დაემატებინა — ამ გუნდში კლაუს ტოპმიოლერის შვილი თამაშობსო...

იმ დღეს დინო ტოპმიოლერის ნახვის საშუალება არ მომეცა. მეორე დღეს, დილის ვარჯიშისას „ამერი“ და „რეგენსბურგი“ გვერდიგვერდ მოედნებზე აღმოჩნდნენ და შეკეცადე, სანამ მეტყოდნენ, თავად ამომეცნო დინო. ერთი ტანმაღალი ფეხბურთელი ჰერ კლაუსს მივამსგავსე და არ შევმცდარვარ: მწვრთნელმა დაუძახა, „ტოპი“-ო და, გუნდში, აბა, რამდენი ტოპი უნდა ყოფილიყო.

დინო ტოპმიოლერს პირველი ვარჯიშიდან დაბრუნების მერე შევხვდი. რომ ვუთხარი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, ზრდილობიანად მომესალმა და როცა დავამატე, საქართველოდან-მეთქი, გულიანად გაიღიმა. მისი თანაგუნდელები კი ამაზე დიდად გამხიარულდნენ, ნახეთ, როგორი პოპულარულია დინო.

ინტერვიუზე ნავახშმევს შევთანხმდით, ფოიეში დამსხდართ კი მწვრთნელმა გამოსძახა, ტრანსფერი თუ შემოვთავაზეს, არ დათანხმდეო...

— ჰერ კლაუსისთვის საქართველოდან მიღებული შეთავაზება მოულოდნელი იყო. ალბათ თქვენთვისაც...

— რა თქმა უნდა. იმ პერიოდში მამაჩემს „კიოლნიც“ იწვევდა და რეგიონული ლიგის „ჰოფენჰაიმიც“. ეს შეთავაზებები მოულოდნელი არ ყოფილა — ორივე გერმანული კლუბია და მწვრთნელს ეძებდნენ, საქართველოს ნაკრები კი მართლაც სიურპრიზი იყო.

— მამამ ოჯახის წევრებს რჩევა თუ გკითხათ?

— დიახ. იმ პერიოდში ამაზე ხშირად ვსაუბრობდით. ჩვენ ძალიან დიდი ოჯახი გვაქვს და მამაჩემს ყველას აზრი აინტერესებდა — დედაჩემის, შვილების, დედაჩემის დის...

— ბიძა არ გიხსენებია, არადა, ის ჰერ კლაუსთან ერთად იმუშავებს საქართველოს ნაკრებში...

— რა თქმა უნდა, მამაჩემი ძმის აზრითაც დაინტერესდა და მეგობრებისაც.

— ჰერ კლაუსზე საქართველოში თითქმის ყველაფერი იციან. მის ძმას კი თითქმის არ ვიცნობთ...

— თავის დროზე ისიც ფეხბურთელი იყო, მერე მენეჯერად მუშაობდა „ზაარბრიუკენში“.

— ბოლო დროს სად მუშაობდა?

— ზუსტად არ ვიცი, ფეხბურთში არა.

— მამათქვენისთვის მიცემულ რჩევებზე ვსაუბრობდით. მაინც რა ურჩიეთ?

— მას თავად უნდოდა საქართველოში წამოსვლა და ოჯახის წევრები მის სურვილს დავეთანხმეთ. არავის უთქვამს უარი. თუმცა მეგობრები, რომლებიც კარგად იყვნენ ჩახედული სანაკრებო ფეხბურთში, აფრთხილებდნენ, მძიმე სამუშაო გელისო.

— რას გულისხმობდნენ?

— ეუბნებოდნენ, რომ საქართველოში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ დისციპლინის მხრივ პრობლემები აქვთ. თან იმ დროს საქართველომ დანიასთან 1:6 წააგო, მერე ამხანაგურში 2:6 დამარცხდა, მგონი, ბულგარეთთან, არა?

— და რას პასუხობდა ამაზე ჰერ კლაუსი?

— რადგან საქართველოში მუშაობას დათანხმდა, ესე იგი, პრობლემების არ ეშინია.

— იგივე „ჰოფენჰაიმის“ ვარიანტი ფინანსური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი იყო...

— დიახ, მაგრამ მამას თავისი არგუმენტები ჰქონდა. სამი წლით ადრე მან „ლევერკუზენი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და ახლა რეგიონულ ლიგაში მუშაობა მისთვის საინტერესო აღარ იყო. კიდევ ის, რომ „ჰოფენჰაიმში“ მუშაობის შემთხვევაში მამა იშვიათად მოახერხებდა სახლში ყოფნას. ჰოფენჰაიმიდან ჩვენს სახლამდე 200 კილომეტრია და ყოველდღე 400 კილომეტრის გავლა როგორი საქმეა... საქართველოს ნაკრებში მუშაობისას კი თვეში ორი კვირა თბილისში იქნება, ორი კვირა კი სახლში. თანაც, თუ საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს, ეს ყველასთვის დიდი სიურპრიზი იქნება.

— მომდევნო შესარჩევ ციკლში წარმატების მიღწევის შანსს როგორ აფასებთ? წილისყრის შედეგები იცით?

— რა თქმა უნდა: იტალია, საფრანგეთი, შოტლანდია, ლიტვა, ფარერები. ვინ გამომრჩა? ჰო, უკრაინა. უფრო ძლიერ ჯგუფს ვერც წარმოიდგენ.

— შანსი?

— აბა, რა გითხრათ. შანსი ყოველთვის არსებობს, ოღონდ, როცა ასეთი მეტოქეები გყავს, შანსი ძალიან მცირეა.

— წილისყრის მერე მამას თუ ელაპარაკეთ?

— იმ დღეს წილისყრის წინ დავურეკე და ხუთი წუთი ველაპარაკე. წილისყრის მერეც დავურეკე და 10-15 წუთი ვისაუბრეთ. მითხრა, რომ უძლიერეს ჯგუფში მოხვდა, მაგრამ უიმედოდ არ იყო.

— იმედი რას ეფუძნება?

— ერთი იმას, რომ ჯგუფში ფავორიტები ერთმანეთში ბევრ ქულას დაკარგავენ. არც ის არის გამორიცხული, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ გუნდებთან, თუნდაც საშინაო მატჩებში, საკმარისი ქულები აიღოს.

— არ გქონიათ სურვილი, საქართველო და გერმანია ერთ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ?

— მქონდა და თანაც ძალიან დიდი სურვილი. მაგარი თამაშები იქნებოდა, საქართველოსაც გამარჯვების მეტი შანსი ექნებოდა, ვიდრე ახლა აქვს. ისე, თუ დაკვირვებიხართ, გერმანია ყოველთვის იოლ ჯგუფში ხვდება.

— გამოდის, რომ გერმანიას შედარებით სუსტ გუნდად თვლით?

— კი. სამწუხაროდ, მეეჭვება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიამ მოიგოს. ჩემი აზრით, ნახევარფინალში გასვლა შესაძლებლობების მაქსიმუმია.

— არ აპირებთ საქართველოში ჩამოსვლას, თუნდაც ნაკრების მატჩების დროს?

— ჩამოსვლა მართლა ძალიან მინდა, მაგრამ თამაშების დროს ალბათ ვერ შევძლებ. როცა მომინდება, კლუბს მაშინ ხომ ვერ დავტოვებ...

— ფრაუ როზი უკვე იყო თბილისში. როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდა?

— დედა ძალიან კმაყოფილი და გაკვირვებული ჩამოვიდა. რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ საქართველოში კარგად მიიღებდნენ, მაგრამ ქართულმა სტუმართმოყვარეობამ მართლა განაცვიფრა. ყველაფრით აღფრთოვანებული იყო — ქალაქით, საჭმელებით, განსაკუთრებით კი იმ ყურადღებით, მის მიმართ რომ გამოიჩინეს.

— მოდით, „ლევერკუზენის“ წაგებული ფინალი გავიხსენოთ. თამაში ტელევიზორში ნახეთ თუ გლაზგოში, სტადიონზე?

— მე და დედა გლაზგოში ვიყავით. ჩემს დას საქმეები ჰქონდა, ჩემი ძმა კი სკოლას ვერ გააცდენდა.

— როცა ჰერ კლაუსს ლიგის ფინალი ჰქონდა, მისი შვილი სკოლას ერთი დღით ვერ გააცდენდა?

— როგორც მახსოვს, იმ დღეს მნიშვნელოვანი საკონტროლო ჰქონდა.

— თუნდაც ხუთი საკონტროლო ჰქონოდა, ქართველებისთვის ამის გაგება ძნელია...

— გერმანელები ცოტა სხვანაირი ხალხია. არავინ გეტყვის: მამაშენს ფინალი აქვს? შეგიძლია, ხვალ სკოლაში არ მოხვიდე.

— თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ, როგორი გრძნობა გქონდათ ფინალის წინ და ფინალის მერე?

— იმ სეზონში „ლევერკუზენის“ მხოლოდ ერთი თამაში ვერ ვნახე, პირველ ჯგუფურ ეტაპზე, „ლიონთან“ სტუმრად. თავიდან ვფიქრობდი, რომ ჯგუფში მესამე ადგილი და უეფას თასზე გადასვლა ნორმალური შედეგი იქნებოდა, მაგრამ თანდათან მარტო მე კი არა, უამრავ ადამიანს გაუჩნდა რწმენა, რომ ასეთი თამაშით ჩემპიონობაც შეიძლებოდა. სხვათა შორის, იმ სეზონში „ლევერკუზენის“ ძალა მეც გამოვცადე, მაშინ მეორე ბუნდესლიგის „ბოხუმში“ ვთამაშობდი და თასიდან მამაჩემის გუნდმა გაგვგზავნა. შეიძლება იცოდეთ, რომ ლიგის ფინალამდე „ლევერკუზენმა“ ერთი კვირის ინტერვალში ორი ტიტული დაკარგა. ყველანი დათრგუნულები იყვნენ. მაშინ რაინერ კალმუნდს უთქვამს, მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ისტორიაში შევალთ, ბუნდესლიგის და გერმანიის თასის წაგება კი აღარავის გაახსენდება და 90 წუთში შეგვიძლია დაკარგულის ანაზღაურებაო.

ამ სიტყვებმა გუნდზე კარგად იმოქმედა და ყველას შესანიშავი განწყობა გვქონდა — გუნდსაც და გულშემატკივრებსაც. არც „რეალი“ იყო დაუმარცხებელი. მერე რა, რომ ზიდანი და ფიგუ ჰყავდა. თუმცა „ბაიერს“ ჰქონდა პრობლემები და მგონია, რომ სწორედ ამ პრობლემების გამო ვერ გახდა მაშინ ჩემპიონი. ფინალში იენს ნოვოტნიმ და ზე რობერტომ ვერ ითამაშეს, ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყო. მეკარის პრობლემაც ჰქონდათ — მე ბუტი არ მომწონს და ჩემი პირადი აზრია, „ბაიერს“ ოლივერ კანი რომ ჰყოლოდა, უსათუოდ ჩემპიონი გახდებოდა. ყველაზე მეტად ის განვიცადე, როგორი მომენტები ვერ გამოიყენეს ჩვენებმა. ეგეთ წაგებას მერჩივნა, 0:4 წაგვეგო — თავიდანვე ყველაფერი გარკვეული იქნებოდა და ნაკლებად ვინერვიულებდი. იმ საღამოს მამა საზიზღარ ხასიათზე იყო.

— ჰერ კლაუსი თქვენს თამაშებზე დადის?

— დრო თუ აქვს, ყოველთვის. თამაშის მერე კი შენიშვნებს მაძლევს. არ მახსოვს, ოდესმე ეთქვას, დინო, დღეს კარგად ითამაშეო. მუდამ ნაკლზე მიმითითებს.

— თქვენი მშობლიური ქალაქი რომელია?

— ტრირი. ის უძველესი ქალაქია გერმანიაში.

— ოჯახი ხშირად იკრიბებით ერთად?

— სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ. ბოლოს საშობაოდ შევიკრიბეთ ყველანი ერთად — ჩემი მშობლები, მე, ჩემი მეგობარი გოგონა, ჩემი და, მისი მეგობარი ბიჭი და ჩემი ძმა. ყველანი ერთად ვიყავით ამერიკაში.

— თქვენი და მომღერალია, ძმა რას აპირებს სკოლის დამთავრების მერე?

— ახლა 17 წლისაა, მაგრამ მომავალში რა უნდა, არ ვიცი, მგონი, თვითონაც არ გადაუწყვეტია.

— ის, რომ კლაუს ტოპმიოლერის შვილი ხართ, პრობლემას გიქმნით თუ გეხმარებათ?

— უფრო პრობლემებს მიქმნის. არ მინდა, რომ მამაჩემის გამო ჩემდამი განსხვავებულ დამოკიდებულებას ვგრძნობდე. თუმცა ამავე დროს, რა თქმა უნდა, ვამაყობ, რომ ტოპმიოლერი ვარ.

ინტერვიუს დასრულებას ამით ვაპირებდი, მაგრამ ჩვენი საუბარი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა, ოღონდ უკვე დინო მეკითხებოდა: რამდენი მაყურებელი ეტევა თბილისის სტადიონზე, რამდენი ხალხი დადის ნაკრების თამაშებზე, ვინ არის საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი და ასე შემდეგ...

გიორგი დარჯანია
ანთალიიდან

ვალერი მაგარია, ყველას იცნობს

დომენეკი აღარ იქნება, თქვენ კი ექსან-პროვანსში ითამაშებთ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს პარიზიდან საფრანგეთის პოპულარულ გამოცემებში მომუშავე ჟურნალისტი ვალერი ლეფორი ჩამოჰყვა. სხვათა შორის, ლეფორი ქართულად მაგარს ნიშნავს.

ფრანგი ჟურნალისტი მისთვის უჩვეულო, რესპონდენტის ამპლუაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და სარაგბო თუ პოლიტიკური საქართველოს გასაცნობად ჩამოსულმა ჩვენთვის საინტერესო ამბებიც მოგვითხრო...

ბადრი ჯობლაძის ფოტო

ლევან ცაბაძე და ვალერი ლეფორი (მარჯვნივ)

— საქართველოში ერთი კვირა დავრჩები. რამდენიმე სარედაქციო დავალება მაქვს — საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეებზე, გოდერძი შველიძეზე, დავით ზერაქაშვილზე და თქვენი ნაკრების ყოფილ კაპიტან ლევან ცაბაძეზე უნდა გავაკეთო რეპორტაჟი. შველიძე და ზერაქიშვილი ელიტარული ფრანგულ კლუბ „კლერმონ-ფერანში" ლიდერობენ. ამ კლუბში თამაშობდა ლევან ცაბაძეც. საფრანგეთში სამივე ძალიან პოპულარულია, ხალხი სტადიონზე მათ სანახავად დადის, ლევან ცაბაძე კი კლუბის ისტორიაში ათ საუკეთესო ლეგიონერს შორისაა დასახელებული. არადა, „კლერმონში" მართლაც დიდ მორაგბეებს უთამაშიათ.

ქართველებზე რეპორტაჟის მოსამზადებლად ახლა საუკეთესო დროა — რუსეთს ეთამაშებით და ამაზე უკეთეს მომენტს ვერც შევარჩევდი. საფრანგეთში კარგად ვართ ინფორმირებულნი, რაც ბოლო ათი დღის განმავლობაში აქ მოხდა. ფრანგული საინფორმაციო საშუალებების მთავარი თემა რუსეთის მიერ თქვენთვის გაზის მოწოდების შეწყვეტა იყო. ამის ფონზე წარმომიდგენია, რა მატჩი იქნება — ამ თამაშის რეპორტაჟსაც გადავცემ. ასე რომ, სარაგბო საქართველო ჩემი ვოიაჟის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. საფრანგეთში ყველას აინტერესებს ქვეყანა, სადაც ასეთი მაგარი მორკინალები იზრდებიან.

— რატომ მარტო მორკინალები, საფრანგეთში სხვა ამპლუის ქართველი მორაგბეებიც წარმატებით თამაშობენ. მაგალითად, ირაკლი გიორგაძე, რომელმაც „ბურგუენთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა...

— ვიცი, სხვა ქართველი მორაგბეებიც პოპულარულები არიან, მაგრამ ბურჯები განსაკუთრებით გამოირჩევიან. ჩემს ქვეყანაში ყველას აინტერესებს, სად იზრდებიან ასეთი ამტანი და ხარივით ძლიერი ბურჯები. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ლევან ცაბაძემ თვით ირლანდიელი კიტ ვუდი ათრია, არადა, ვუდი მაშინ მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე იყო. დარწმუნებული ვარ, კარგი ქართველი ბურჯი ნებისმიერ მეტოქეს დაჩაგრავს.

— ისე, საქართველოსა და საფრანგეთს რაგბიში საერთო აქვთ — თქვენს ნაკრებში წარმოშობით ქართველი დიმიტრი იაშვილი თამაშობს...

— 2007 წლის მსოფლიოს თასზე დიმიტრი ჩვენი ნაკრების მთავარი იმედია. ფანტასტიკური მოთამაშეა. ისიც ვიცი, რომ მისი უფროსი ძმა, გრეგი საქართველოს ნაკრებში თამაშობს. ნაბოლარა ძმას შარლ-ედუარდსაც აქებენ, მათი მამა მიშელ იაშვილი კი ფრანგული რაგბის ლეგენდაა.

— სიტყვამ მოიტანა და, საფრანგეთმა 2007 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობის უფლება ინგლისთან კონკურენციაში მოიპოვა. ამ ტურნირისთვის უკვე ემზადებით?

— რა თქმა უნდა, ჩემპიონატამდე ბევრიც არ დარჩა. მოედნების რეკონსტრუქცია სადაცაა დასრულდება. ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს, ინგლისელების საქილიკო რომ არ გავხდეთ.

—თქვით, საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამო ჩამოვედიო. რაგბი გასაგებია, დანარჩენი?

— ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა ღვინის ქვეყნის ახლოს გაცნობა. ამ მხრივაც მომიწევს მუშაობა. ჯერჯერობით ინფორმაციას ვაგროვებ. სამშობლოში აუცილებლად წავიღებ რამდენიმე მარკის ღვინოს, ლევან ცაბაძე ჩემი მასპინძელია და დარწმუნებული ვარ, სასარგებლო რჩევებს მომცემს. გარდა ამისა, გორშიც ჩავალ და სტალინზე გავაკეთებ რეპორტაჟს. საფრანგეთში სტალინი ძალიან საინტერესო თემაა. და მთავარი მავიწყდებოდა — თქვენს პრეზიდენტზე, ბატონ სააკაშვილზე ვრცელი რეპორტაჟიც დამავალეს, ეს საქმე თითქმის მოვილიე, დეტალებიღა დამრჩა.

— როდის მოასწარით?

— თვითმფრინავში ჩავწერე ძალიან საინტერესო ინტერვიუ.

— თვითმფრინავში?

— დიახ. პარიზი-თბილისის რეისით საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ჩამოვყევი. გზად ციურიხში მოგვიწია დაჯდომამ, რადგან იქიდან ბატონი სააკაშვილი უნდა წამოგვყოლოდა, ამიტომაც დაგვიანა რეისმა ორი საათით. მეც დრო ვიხელთე და ინტერვიუც ჩავწერე. ჩემდა გასაოცრად, ეს იოლად მოვახერხე.

— როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ ჩვენს პრეზიდენტზე?

— ჩვეულებრივი საუბრიდანაც კარგად ჩანს, რომ აღმოსავლეთზე მეტად დასავლეთი იზიდავს. ძალიან ენერგიულია, ახალი საქართველოს შექმნას ცდილობს — საამისოდ ძალიან მონდომებულია. დარწმუნებული იყავით, ის ბევრს გააკეთებს ქვეყნისთვის, თან ევროპაში დიდ პატივს სცემენ. ბატონი სააკაშვილი სხვა კუთხითაც არის საინტერესო — ის მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია. საფრანგეთის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დესტენი იყო. იგი ახლა ოვერნოს ოლქში, ქალაქ კლერმონში ცხოვრობს და ჩემი უახლოესი მეგობარია.

— ისიც გეცოდინებათ, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანგი დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი იყო...

— რა თქმა უნდა, ვიცი. სხვათა შორის, ქალბატონი ზურაბიშვილი ფრანგულ პრესაში უფრო ხშირად ხვდებოდა, ვიდრე სააკაშვილი. პრეზიდენტს მასზეც ვკითხე, მითხრა, ზურაბიშვილმა პარლამეტთან ვერ მოაგვარა ურთიერთობა და პოსტის დატოვება მოუხდაო.

— რაც ჩამოთვალეთ, ყველა რეპორტაჟი ერთი გამოცემისთვის უნდა გააკეთოთ?

— არა, საერთოდ, საფრანგეთში ჟურნალ-გაზეთებს ორი-სამი მუდმივი კორესპონდენტი ჰყავთ, დანარჩენები კი შეკვეთით მუშაობენ. ასე ვარ მეც. „ეკიპისთვის" დამიწერია ძალიან ხშირად, ახლა კი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის, „მონტანიას" და გაზეთ „სპორტის" დაკვეთას ვასრულებ. ორივე გაზეთი ყოველდღიურია და ტირაჟი 30-40 ათასია. სხვათა შორის, „სპორტი" „ეკიპს" არაფრით ჩამოუვარდება.

— ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველო და საფრანგეთი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ხომ არ აპირებთ, საფეხბურთო საქართველოც გაიცნოთ?

— არა, ამდენს ნაღდად ვერ მოვასწრებ. ამისთვის ერთ კვირაში ჩემი მეგობარი და კოლეგა ჩამოდის „ეკიპიდან". ის უკეთ მოაგვარებს ამ საქმეს.

— საფრანგეთში რას ამბობენ კენჭისყრაზე?

— არ გეწყინოთ, მაგრამ ჩვენთან საქართველოს სერიოზულ მეტოქედ არ მიიჩნევენ. ამბობენ, რომ მთავარი მეტოქეები იტალია და უკრაინა იქნებიან. ერთში კი ყველა შეთანხმდა — ეს ჯგუფი ურთულესია.

— საინტერესოა, რა უთხრა თქვენი ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ფრანგ ჟურნალისტებს...

— ბევრი არაფერი და არც ჟურნალისტებს მოუკლავთ თავი, რადგან 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ სექტემბერში დომენეკი ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. მას რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაეყვანა, მისი შემცვლელის ვინაობა გადაწყვეტილი იყო. გუნდი დიდიე დეშამს უნდა ჩაებარებინა.

— მსოფლიოს ჩემპიონატიც რომ მოიგოს, მაინც მოხსნიან?

— ასე რომც მოხდეს, პირველ რიგში, მას უნდა ეყოს ჭკუა და თავისით წავიდეს. დომენეკის მოხსნა გადაწყვეტილი ამბავია. ყველაზე რეალური კანდიდატურა დეშამია, მერე ჟან ტიგანა და პოლლე გუენი მოდიან. თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია კი ისაა, რომ საფრანგეთი საქართველოს მარსელის მახლობლად ექსან-პროვანსში უმასპინძლებს. იქ საკმაოდ კოხტა სტადიონია.

— რატომ ექსან-პროვანსი?

— ბოლო დროს ფრანგულ ფეხბურთში ცუდი ტენდენციაა — რა დონის თამაშიც უნდა იყოს, საფეხბურთო მატჩები სტადიონს ველარ ავსებს. ამიტომ სჯობს, 40-ათასიან სტადიონზე ითამაშო და ბოლომდე შეივსოს, ვიდრე 80-ათასიანზე მიიღო მეტოქე და ნახევრად ცარიელ ტრიბუნებს უყურო. დასწრების მხრივ სარაგბო მატჩები ბევრად აღემატება ფეხბურთისას. ალბათ იმიტომ, რომ ფრანგული საფეხბურთო კლუბები ევროპაში ველარ ყოჩაღობენ, ნაკრები კი უკანუკან მიდის.

— ალენ ჟირესის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობიდან გათავისუფლებას როგორ შეხვდა ფრანგული მედია?

— აჟიოტაჟი არ ყოფილა. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, როდესაც ის თქვენი ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. თქმა არ უნდა, ჟირესი ფანტასტიკური მოთამაშე იყო, ერთ-ერთი ლეგენდა, მაგრამ, როგორც მწვრთნელმა ვერაფერი გააკეთა. „პარი-სენჟერმენიდან" ორ თვეში გამოუშვეს. ჟირესს ახლოს ვიცნობ. ის ძალიან კეთილი და გულახდილი პიროვნებაა, რაც მისთვის ხშირ შემთხვევაში დამღუპველია.

— სანამ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გახდებოდა, ნაკრებში ფიზმომზადების მწვრთნელად ფრანგი ჟაკ დევიმი მუშაობდა. ის ახლაც კითხულობს ლექციებს ქართველი მწვრთნელებისთვის. მასზე იცით რამე?

— არა, პირველად მესმის.

— თავად თქვა, რომ ემე ჟაკეს სამწვრთნელო შტაბში იყო...

— იმ შტაბში თითქმის ყველას ვიცნობ, მაგრამ დევიმს ვერ ვიხსენებ...

გაჩო სვანიძე

პარაგვაიმ ორი დღე ითხოვა

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე პარაგვაის ნაკრებმა საქართველოსთან სპარინგის სურვილი რომ გამოთქვა, იცით. პარაგვაელები მუნდიალისთვის მზადების ბოლო ეტაპს ავსტრიაში გაიელიან და შეხვედრის გამართვაც იქ არის ნავარაუდევი. დაითქვა სავარაუდო დღეც — 2 ივნისი, თუმცა გუშინ პარაგვაელებმა თამაშის ორი დღით გადმოწევა ითხოვეს. ამჟამად დეტალებზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. შეთანხმება კი პრაქტიკულად მიღწეულია — საქართველო პარაგვაის 2 ივნისის ნაცვლად 31 მაისს ეთამაშება.

მაისამდე გადადებული განშორება

სოსო სირაძემ ჯერ კიდევ ლიკანში ყოფნისას თქვა, გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია და მეორე წრეს ამ შემადგენლობით დავიწყებთო. გუშინ კი „ლოკომოტივის" მწვრთნელმა უკვე ნათქვამს დაუმატა, ახალწვეულებს მაისამდე შევხედავთ, მერე შესაძლოა რამდენიმე მათგანთან განშორება მოგვიხდეს და ცვლას ჩვენივე საფეხბურთო სკოლიდან მივიღებთო.

„ლოკომოტივი" 27 იანვარს დაბრუნდა ლიკანიდან, ერთი დღე დაისვენა და ასკ-ის დარბაზში ერთჯერად ვარჯიშებზე გადავიდა. მომავალი სპარინგების ზუსტი თარიღები უცნობია, თუმცა ამხანაგურებს რკინიგზელები ალბათ ხვალიდანვე დაიწყებენ და „სპარტაკს", „კახეთს", „თბილისს" და „დინამო 2"-ს შეხვდებიან.

გიორგი ნოზაძე

ახალგაზრდულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ახლა პორტუგალიაშია შეკრებაზე და თბილისში 5 თებერვალს დაბრუნდება. სანდო კულუარული წყაროდან კი შევიტყვეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალგაზრდულ ნაკრებში მწვრთნელის შეცვლას აპირებს.

ჩვენს 21-წლამდელებს კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის, ვინც იმავდროულად 19-წლამდელების და „ზესტაფონი 2"-ის მწვრთნელიცაა. ისიც გავიგეთ, რომ ფედერაციას უკვე ჰყავს რამდენიმე კანდიდატი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაც ვცადეთ და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს მივმართეთ...

— ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების პორტუგალიურ ტურნირზე გამოსვლით უკმაყოფილო ვარ. მართალია, გუნდი უმცროსი ასაკის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის. ფაქტია, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. ვფიქრობ, ასე მიაჩნიათ ფედერაციის სხვა თანამშრომლებსაც — გვითხრა არველაძემ, ვისი კომენტარიდანაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფიდენციალური წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია სიმართლესთან ძალიან ახლოსაა.

და ვინ იქნება U21-ის ახალი თავკაცი? აქ სიტყვა ჩვენი უპირველესი გუნდის ხელმძღვანელმა კლაუს ტოპმიოლერმაც უნდა თქვას — ის თბილისში 11 თებერვალს ჩამოვა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პორტუგალიაში ახალგაზრდულ ნაკრებს ტოპმიოლერის თანაშემწეები, რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი ახლდნენ...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პორტუგალიურ ტურნირზე სლოვაკეთთან და მასპინძლებთან, შესაბამისად, 1:3 და 1:4 წააგო.

დავით თავართქილაძე

კობა ჟორჟიკაშვილი

ვურას დულუბავას/ბელის ფოტო

ბავშვობა ოცნებებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობა ოცნებებით

ქართველი მსაჯები ვიდეოპლეერებით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძემ თანამდებობაზე მისვლისთანავე მოიტანა ნოვაციები, რომელთაგან ერთ-ერთი ჩემპიონატის სამეორეწრეო თამაშებისთვის მსაჯების წინასწარ დანიშვნაა.

სხვა სიახლეებზე კი თავად კაჭახიძემ გვითხრა: „26 იანვრიდან ჩვენი მსაჯები საქართველოს ნაკრების ბაზაზე გადიან შეკრებას. იქ მიწვეულნი იყვნენ ვეტერანი მსაჯებიც და დამკვირვებლებიც.

გარდა ამისა, მსაჯებს ვანახეთ ფიფადან გამოგზავნილი ვიდეომასალა, რომლის საშუალებითაც დააკვირდებიან, როგორ იქცევიან მსაჯები სხვადასხვა ეპიზოდებში, საეჭვო თამაშგარის, პენალტის ან ჯარიმის დროს. ფედერაციამ შეგვიძინა ვიდეოპლეერი და მისხალ-მისხალ ვიხილავთ დეტალებს — წესებშიც გარკვეულ ცვლილებაა.

ხვალიდან მოვიწვევთ ქართული კლუბების წარმომადგენლებს და მათ დაწვრილებით ავუხსნით, რა ეპიზოდში როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი. ეს იმიტომ, რომ მერე აღარ იყოს ხმამაღალი პრეტენზიები და გაუთავებელი შფოთი."

ლუკა თალაკვაძე

ალადაშვილმა პატარა დინამოში იტიტულა

გეცოდინებათ, კიევის „დინამო" და ოთარ მარცვალაძე ისრაელურ შეკრებაზე არიან, სადაც პრესტიჟულ ოთხთა ტურნირზეც ითამაშებენ მოსკოვის „სპარტაკთან", ცეესკასთან და დონეცკის „შახტართან" ერთად. ალბათ, სწორედ ამ მატჩების მერე გაირკვევა მარცვალაძის კიევური მომავალი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მის გადინამოელებას ბევრიც არაფერი უკლია.

გარდა ამისა, ანატოლი დემიანენკოს გუნდში მოხვედრის შანსი ამჟამად კიევის „დინამო 2-ში" მყოფ ფეხბურთელებსაც აქვთ — მათ შორის, კახა ალადაშვილსაც. ეს თავად კლუბის პრეზიდენტმა, იგორ სურკისმაც თქვა.

გუშინწინ „დინამო 2"-მა მემორიალური ტურნირი მოიგო და ფინალში „დინამო 3" 5:1 დაამარცხა. ამ ტურნირის ერთ-ერთ ჯგუფურ მატჩში ქართველმა გოლიც შეაგდო.

ალადაშვილმა ფინალში მარჯვენა მცველად ითამაშა და 88-ე წუთზე შეცვალეს.

დუბლებიდან მთავარ „დინამოდე" მაინცდამაინც რომ დიდი გზა არაა გასავლელი, იქიდანაც ჩანს, რომ ალადაშვილის გვერდით სხვა ცნობილი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ — ალიევი, ჩესნაუსკისი და დმიტრულინი...

ილია ნანოგაჯვილი

პირველი პორტუგალიური

ახალგაზრდული ნაკრების სტატუსით პორტუგალიაში მყოფმა საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა გუშინწინ მეორე დივიზიონის „ატლეტიკ ოუგვირენსე" 3:1 დაამარცხა. ჩვენებიდან გოლები ამერელებმა — მირზა ბჟალავამ და ბესიკ ჩიმაკაძემ, ასევე ზესტაფონელმა გიორგი განუგრავამ გაიტანეს, ხოლო მასპინძლებმა ერთი ბურთი პენალტით გაქვითეს.

ჭაბუკთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ალავიძე, მჭედლიშვილი (წულაძე 68), გვაძაბია (ელბაქიძე 46), ბენაშვილი, ხიდეშელი (ხუმარაშვილი 80), თომაშვილი, ბჟალავა (ძარია 55), განუგრავა, ჩირიკაშვილი (დაუშვილი 65), წინამძღვრიშვილი (ყიფიანი 70), ჩიმაკაძე.*

ჟორჟიკაშვილის გუნდი პორტუგალიაში ხვალ მესამედივიზიონელ „ალკანენასაც" ეთამაშება.

ლუკა თალაკვაძე

ძოძუაშვილმა არმიელ ვეტერანებში გაისროლა

მოსკოვში ვეტერანთა საიუბილეო ამხანაგური მატჩი გაიმართა და ცეესკამ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 8:12 წააგო. შეხვედრა ცეესკას საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის 35-წლისთავს მიეძღვნა და არმიელ ვეტერანთა წინააღმდეგ ქართველმა რევაზ ძოძუაშვილმაც ითამაშა, რომელმაც გოლითაც გამოიჩინა თავი.

ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს ალბათ ამ თამაშში მონაწილეთა ვინაობაც დააინტერესებს და აი, შემადგენლობებიც:

ცსკა: ნოვიკოვი, დულიკი, კოლპოვსკი, კაშიგინი, კორობჩკა, ტატარჩუკი, სემიონოვი, კოპეიკინი, კოზლოვსკიხი, ბ. კუზნეცოვი, გლუშაკოვი, კოლიადკო.

სსრკ: პშენიჩნიკოვი (შეიკინი), ძოძუაშვილი, კოვაჩი, ხიდიატულინი, აბდურაიმოვი, ახმეტჯანოვი, მუხამადიევი, პეტროსიანი, სოლოვიოვი, იამანოვი, გავრილოვი.

კახა შალამბერიძე

ეგგენი ლაშჩუკი ბოლნისელია

ბოლნისის „სიონს" იალტაში დაუთბა, სატრანსფეროდ კი — დაუცხა. იალტაში გამოდარების შემდეგ ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი ტესტ-მატჩებს ერთმანეთის მიჯრით ატარებს, ჯერ სიმფეროპოლის „იგრო-სერვისს" 3:3, გუშინ კი კიშინიოვის „ნისტრუს" 0:0 ეთამაშა.

დღეს „სიონი" დონეცკის „შახტარ 2"-ს წაეამხანაგურება და ეს მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ ქასრაშვილი 18 წლის სავარაუდო ახალწვეულს, ტანმაღალ შემტევ დავით ძანძავას გამოცდის. ძანძავა აფხაზეთში მცხოვრები ლტოლვილის ოჯახიდანაა, ყირიმში გაზრდილია და ქართული კარგად არ იცის.

და კიდევ, „სკა მიკოლაევის" ფორვარდ ეგგენი ლაშჩუკთან „სიონმა" წარმატებით მოილაპარაკა და ფეხბურთელმაც თავის კლუბს გათავისუფლების ფურცელი მოსთხოვა — „სიონი" ლაშჩუკთან ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს.

ილია ნანოგაჯვილი

მუსლინი ჭელიძეს: ევროპა შენთვის აღრეა

რა ხანია, 19 წლის გიორგი ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივის" პირველ გუნდშია და გუნდს შეკრებაზეც ახლავს ესპანეთში, მაგრამ ლოკომოტიველთა სერბმა დამრიგებელმა სლავოლიუბ მუსლინმა ჩვენებური ფორვარდი ევროფრონტს მიღმა დატოვა.

„ლოკომოტივი" 15 და 23 თებერვალს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ესპანურ „სევილიას" გაეჯიბრება და კლუბმაც უეფაში ახალი, 2006 წლის განაცხადი გაგზავნა, რომელშიც ქართველთაგან მხოლოდ მალხაზ ასათიანია. მუსლინმა განაცხადში გუნდის სამი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა და ჭელიძისთვის, როგორც ჩანს, ნაადრევად მიიჩნია ევროსარბიელზე თამაში.

გუშინ კი რკინიგზელებმა ნორვეგიულ „ლინთან" ამხანაგურ მატჩში 1:1 ითამაშა და ჭელიძემ თავი გოლით გამოიჩინა — გიორგი შეცვლაზე შევიდა მეორე ტაიმში, ასათიანი კი ძირითადში იყო.

დავით თავართქილაძე



თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

მეზობლები ერთმანეთს თბილისში ეპატიჟებიან

არმენ მინასიანი: მზად ვართ, ბაქოში ვითამაშოთ

ფუად ასადოვი: მოსკოვიდან გაიქცნენ და ბაქოში ჩამოვლენ?

ჩემი მეგობარია, გვარად სანაძე, წარმოშობით სამტრედიიდან, დაბადებული ბაქოში. ერთი წლის იყო, როცა მამამისი სამუშაოდ ყარაბახში მიავლინეს და ისიც სტეპანაკერტში გაიზარდა, დედა სომეხი ჰყავს, ამჟამად კი მეუღლესთან ერთად სანკტ პეტერბურგში ცხოვრობს. აი, ასეთი რთული და ჩახლართულია კავკასია... თუმც ეს ამბავი რა მოსატანია იმასთან, რაც წინა პარასკევს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრისას შვეიცარიულ მონტროში მოხდა...

„თვალებს და ყურებს არ ვუჯერებდი, კინაღამ შოკში ჩავვარდი, ეს არ უნდა მომხდარიყო“ — გვითხრა აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ფუად ასადოვმა.

„განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, რეაქციაც ჩვეულებრივი იყო, ისეთი, როგორიც კენჭისყრის შემდეგ აქვთ ხოლმე“ — ეს უკვე სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანის არმენ მინასიანის სიტყვებია.

მთავარი სათქმელი აქვე მოკლედ ვთქვათ და მერე უკვე საქმეზე: პარასკევს შვეიცარიულ მონტროში ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შედეგად ერთმანეთს წაკიდებული ჩვენი მეზობლები, აზერბაიჯანი და სომხეთი A შესარჩევ ჯგუფში ერთად მოხვდნენ.

...გუშინ პირველად ერევანში დავრეკეთ. ფედერაციის პრესსამსახურში გვიპასუხეს, აღმასკომის სხდომა მიმდინარეობსო.

მერე ბაქოში გადავრეკეთ. ასოციაციის პრესსამსახურშიც გვითხრეს, ახლა აღმასკომის სხდომაა, ხელმძღვანელები დაკავებულები არიანო.

ამასობაში კი სომეხ და აზერბაიჯანელ მეგობარ კოლეგებსაც გავესაუბრეთ, გვაინტერესებდა, ურთიერთმეტოქეობაზე რა აზრის იყვნენ.

სომეხმა აშოტმა გვითხრა: ჩვენები მზად არიან, აზერბაიჯანელებს ნებისმიერ სტადიონზე შეხვდნენ, სომხეთი აზერბაიჯანის ნაკრებზე გაცილებით ძლიერია. ისე კი, სჯობს, ეს მატჩები საფრანგეთში ან გერმანიაში ჩატარდეს, ფედერაციაში ამ საკითხზე უკვე მუშაობენ.

აზერბაიჯანელმა ლატიფმა კი, ბაქოში და ერევანში მატჩების ჩატარება გამორიცხულია, თამაში ბაქოში თუ გაიმართა, შესაძლოა, სისხლი დაიღვაროსო.

სომხეთის ნაკრები

მოკლედ, ვიდრე აზერბაიჯანული და სომხური ფეხბურთის დიდმოხელეებს დავუკავშირდებოდით, ბაქოსა და ერევანში კენჭისყრის შემდგომ არსებულ სიტუაციაში გარკვევა კოლეგებთანაც ვცადეთ.

რა თქმა უნდა, ერთმანეთის მეტოქეობა მეზობლებს ძალიანაც კი არ ესიამოვნათ, მაგრამ ახლა სხვა რა გზა აქვთ, მოლაპარაკება უნდა დაიწყონ და უნდა შეთანხმდნენ კიდეც. საფეხბურთო სერბეთი და ხორვატია შერიგდნენ, ერთმანეთს აღარ გაურბიან... აგერ, საბერძნეთი და თურქეთი ათენსა და სტამბოლში თამაშობენ და... თუმცა, შთაბეჭდილება დაგვრჩა, სამეზობლოში ვითარება გაცილებით რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ამაში *ფუად ასადოვიც* დაგარწმუნებთ...

— ახლა უკვე ვერაფერს შეცვლი. რაც არის, ეგაა, ასეთია ჩვენი შესარჩევი ჯგუფი და უნდა ვითამაშოთ.

— დღეს აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის აღმასკომის სხდომა იყო, რა საკითხები განიხილეთ?

— სწორედ კენჭისყრის შედეგებზე ვილაპარაკეთ. აღმასკომმა ასოციაციას რეკომენდაცია მისცა, აზერბაიჯან-სომხეთის მატჩები ნეიტრალურ ქვეყანაში გამართოს. ერთ-ერთ ასეთ სავარაუდო ქვეყნად კი საქართველო მიგვაჩნია. ვფიქრობ, თბილისში თამაში სომხებისთვისაც მისაღები იქნება და ვიმედოვნებ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც არ იქნება წინააღმდეგი. ჩვენ სომხეთს ნებისმიერ ქვეყანაში ვეთამაშებით, ოღონდ არა აზერბაიჯანში და სომხეთში. გერმანიაში და ჩინეთში თამაშს კი თბილისში შეხვედრა გვიჯობს.

— ბაქოსა და ერევანში რატომ ვერ ითამაშებთ?

— იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნები, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. მართალია, ყარაბახში ახლა არ ისვრიან, მაგრამ თითქმის ყოველდღე იქ რამდენიმე აზერბაიჯანელი იღუპება და წარმოიდგინეთ, ბაქოში რომ თამაში ჩატარდეს, სომხეთის ნაკრებს აზერბაიჯანელები როგორ დახვდებიან...

— მატჩების ნეიტრალურ მოედანზე ჩატარების საკითხი, ალბათ, ქვეყნის მთავრობასთან უკვე შეთანხმებული გაქვთ...

— დიახ, მთავრობამ ამის თაობაზე იცის, თუმცა საქმე მაინც ასოციაციის მოსაგვარებელია და მალე უეფასაც მივმართავთ.

— სომხებთან კონტაქტი არ გაქვთ?

— როგორ არა, მათ კენჭისყრის შემდეგაც შევხვდით. სომხებმა გვითხრეს, რომ მათ შეუძლიათ ბაქოში ჩამოსვლა და თამაში, მაგრამ ისინი გულწრფელები არ არიან. სომხეთის „პიუნიკი“ აზერბაიჯანის ჩემპიონ „ნეფთჩის“ მოსკოვში, ესენგეს ტურნირზე არ შეხვდა. მატჩი ჩაშალეს და ახლა ისინი ბაქოში ჩამოვლენ?! ჩვენ ამის არ გვჯერა, თანაც უსაფრთხოების გარანტიასაც ვერ მივცემთ. ამიტომაც მატჩები ნეიტრალურ ქვეყანაში უნდა გაიმართოს.

აზერბაიჯანელზე გაცილებით დიპლომატიური და თავდაჭერილი გვეჩვენა *არმენ მინასიანი*, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი. ისიც, კოლეგის მსგავსად, აღმასკომის სხდომიდან ახალგათავისუფლებული იყო და როცა ვკითხეთ, აღმასკომზე აზერბაიჯანელებთან სამომავლო მატჩების თაობაზე ხომ არ გისაუბრიათო, ჩვენთვის საკვირველი პასუხი მივიღეთ, არა, ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით ვართ დაკავებულიო. არადა, სომეხი კოლეგისგან ვიცოდით, რომ ფედერაციის აღმასკომი საგანგებოდ აზერბაიჯანთან მატჩებისთვის შეიკრიბა და ბარე ხუთი-ექვსი საათი გაგრძელდა. აღმასკომის სხდომის თაობაზე საუბრის გაგრძელებას კი აზრი აღარ ჰქონდა და ზოგადად სომხურ-აზერბაიჯანული თემით განვაგრძეთ...

— რა თქმა უნდა, მეზობლებთან მეტოქეობა ძალიანაც არ გვესიამოვნა, ეს არასასურველი იყო. ჩვენს შორის ხომ კონფლიქტია და არ ვიცით, ამ მატჩებს ხალხი როგორ შეხვდება.

— სომხეთის ნაკრები მზად არის ბაქოში ჩასასვლელად?

— დიახ და, ასეთი წინადადებით ჩვენს მეზობელ კოლეგებს კენჭისყრის დამთავრებისთანავე მივმართეთ. მეტიც, ჩვენ მათ შევთავაზეთ, რომ პირველ მატჩს სომხეთი სტუმრად ითამაშებს, ერევანში კი მეორე წრის შეხვედრა გაიმართოს.

— აზერბაიჯანელთაგან რა პასუხი მიიღეთ?

— ჯერ არაფერი. ამ საკითხზე ალბათ ისინიც მუშაობენ.

— როგორ ფიქრობთ, ბაქოსა და ერევანში მატჩები უკონფლიქტოდ ჩაივლის?

— როგორ გითხრათ, ჩვენ უსაფრთხოების გარანტიები გვჭირდება.

— აზერბაიჯანელები რომ წინააღმდეგნი იყვნენ?

— მაშინ საქმეს უკვე უეფა მოაგვარებს. ჩვენ კი მის გადაწყვეტილებას დავეთანხმებით.

— ბაქოში და ერევანში თუ არა, რომელ ქვეყანაში გიჯობთ აზერბაიჯანელებთან თამაში?

— საფრანგეთში, ანაც გერმანიაში, ესეც უეფას გადასაწყვეტია. გამორიცხული არ არის, თბილისშიც ვითამაშოთ, საქართველო ჩვენი კარგი მეზობელია და სიამოვნებით ჩამოვალთ.

— თქვენი ჯგუფის კალენდარზე როდის უნდა მოილაპარაკოთ?

— 10 თებერვალს ბრიუსელში შევიკრიბებით.

— კალენდრის თქვენეული ვარიანტი უკვე შედგენილი გაქვთ?

— რა თქმა უნდა.

— აზერბაიჯანთან მატჩები როდისთვის გსურთ?

— ეს უკვე საიდუმლოა.

ერთ დეტალს თუ მიაქცევთ ყურადღება — არმენ მინასიანს დაახლოებით ხუთი წუთი ვესაუბრეთ და მას არც ერთხელ უხსენებია „ბაქო“ და „აზერბაიჯანი“, მეტოქე ქვეყანას ის ოდენ „მეზობლად“ მოიხსენიებდა.

ასეთი ამბებია სომხეთსა და აზერბაიჯანში კენჭისყრის შემდეგ. ის ჩემი მეგობარი კი ამათ მატჩებს, სადაც უნდა გაიმართოს, ვერ გააცდენს.

აზერბაიჯანის ნაკრები

ძოგა ინასარიძე

მუშტები და ბოლო წუთები



პოლ შარნერის ცემისთვის ფერგიუსონი გააძევეს

ინგლისი

პრემიერლიგა. XXIV ტური

სანდერლენდი 0:3 მიდლსბრო

0:1 პოგატეცი (19), 0:2 პარნაბი (31), 0:3 ჰასელბაინკი (71)

სანდერლენდი: კელვინ დევისი, დ. კოლინზი (კაილი 32), კოლდუელი, ბრინი, ჰოიტი, არკა, მილერი, უიტჰედი, ლოურენსი, სტიდი (დერილ მერფი 78), ლე ტალეკი

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

მიდლსბრო: შვარცერი, მეთიუ ტეილორი, საუთგეიტი, პოგატეცი, პარნაბი, დაუნინგი (ს. ჯონსონი 77), კეტერმოლი, დორივა, მენდიეტა, ჰასელბაინკი (აიეგბენი 79), ვიდუკა (შ. დევისი 64)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: კოლდუელი, დორივა

მსაჯი: ვაილი

31 675 მაყურებელი

ჩარლტონი 0:0 ვესტ ბრომვიჩი

ჩარლტონი: მირე, იანგი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, პაუელი, ბ. ჰიუზი, ჰოლანდი (კიშიშევი 43), სმერტინი, ამბროზი (ტომა 72), დ. ბენტი, მ. ბენტი (ბოტროიდი 83)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, ალბრეხტსენი, კერტის დევისი, კლემენტი, პ. რობინსონი, გრინინგი, ინამოტო, გ. ჯონსონი, კარტერი, კ. კემპბელი (ელინგტონი 55), ჰორსფილდი

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: რობინსონი, ალბრეხტსენი, გრინინგი

მსაჯი: უოლტონი

25 921 მაყურებელი

ფულემი 1:0 ტოტენჰემი

1:0 ბოკანეგრა (90)

ფულემი: ნიემი, როსენიორი, ნაითი, ბოკანეგრა, ბრიჯი, ბოა მორტე, ს. ელიოტი, ლეგვინსკი (რაძინსკი 23), მალბრანკი, ჰელგუსონი, ბ. მაკბრაიდი (კ. ჯონი 73)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, გ. კელი, კინგი, დოუსონი, სტალტერი, ე. რიდი (ჰადლსტოუნი 26), კრიკი, ჯენასი, ლენონი (ე. გარდნერი 74), რობი კინი, რასიაკი (დეფო 70)

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: ჰელგუსონი, რასიაკი, დოუსონი, ჯენასი, დოუსონი

გაძევება: დოუსონი (72)

მსაჯი: ვები

21 081 მაყურებელი

უიგანი 1:1 ევერტონი

0:1 ტომპსონი (9ს.ჯ.), 1:1 შარნერი (45)

უიგანი: პოლიტი, ჩიმბონდა, ანშო, დე ზეუვი, ბაინსი, ტილი, ბალარდი, შარნერი, ს. ტომპსონი (ციგლერი 45), რობერტსი, მელორი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

ევერტონი: რაიტი, ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, ნუნუ ვალენტე, ოსმანი, არტეტა (დ. ფერგიუსონი 73), ფ. ნევილი, ჩეჰილი, კილბეინი, მაკფადენი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: შარნერი, მაკფადენი

გაძევება: ფერგიუსონი (80), რობერტსი (83)

მსაჯი: დინი

21 731 მაყურებელი

ოჰ, უიგანში ამბავი იყო... თითქოს, მთელი ბრიტანული ფეხბურთის ძველბიჭობას ჯეი-ჯეი-ბის მინდორზე მოეყარა თავი. „ატლეტიკი“ მასპინძლობდა „ევერტონს“, რომელმაც ტრადიციულად მხცოვანი დანკან ფერგიუსონი შემოიყვანა შეცვლაზე. სქოთმა მინდორზე მხოლოდ შვიდ წუთს დაჰყო და მერე მუცელში საკრივო მუშტი ჰკრა იმ თამაშში უიგანელთაგან გოლის ავტორს, პოლ შარნერს.

ეს მოხდა თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, სამი წუთის მერე კი მასპინძელთა მთავარმეგოლემ ჯეისონ რობერტსმა იდაყვი ჩასცხო ევერტონელთა ლეგენდას დევიდ ვეირს და მსაჯმა მაიკ დინმა მასაც სწრაფად აუფრიალა წითელი.

„ევერტონი“ ადრიდანვე იგებდა, რადგან დევიდ ტომპსონმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ამ გოლის გაშვების შემდეგ „უიგანის“ მეკარე მაიკ პოლიტმა ბრწყინვალედ ითამაშა და ჯერ ჯეიმს მაკფადენს აუღო თავური, მერე არტეტას ჯარიმა მოიგერია. შემდეგ დადგა მასპინძელთა დროც: პასკალ შიმბონდამ შორიდან დაკიდული თავით დაუგდო შარნერს და მანაც საპასუხო გაიტანა. ამის შემდეგ კი იქ მხოლოდ ძვლების ღრჭიალი ისმოდა.

„კრეივენ კოტეჯზე“ კი გმირად შეიქნა კარლოს ბოკანეგრა, რომელმაც სულ ბოლო წუთს გაუტანა ათკაცა „ტოტენჰემს“ და „ფულემს“ ვიწრო, მაგრამ ნამდვილი გაამარჯვებინა. ამერიკელ ბოკანეგრას წელიწადზე მეტი იყო, გოლი არ შეეგდო, „ტოტენჰემს“ კი გაუჭირდა იმიტომ, რომ ბოლო 20 წუთს კაცნაკლული იყო: მაკლ დრუსონი მეორე ყვითლით გააძევეს. მოგებულთა მენეჯერმა კრის კოულმენმა თქვა: „ნაღდი ლონდონური დერბი იყო და მოგებაც გვეკუთვნოდა, რადგან მეტს ვურტყამდით“.

წყალწაღებული სეზონის კიდევ ერთი მატჩი მიილია სანდერლენდში, სადაც „მიდლსბროს“ ცხრა ძმრალი ბურთით მოიგო. ისიც აღსანიშნავია, რომ თავად „ბოროს“ 20 ნოემბრის შემდეგ არ მოეგო სალიგო თამაში.

ირაკლი გამყრელიძე

ჩელსი	23	20	2	1	49:12	62
მანჩესტერი	23	14	6	3	42:20	48
ლივერპული	21	13	5	3	29:12	44
ტოტენჰემი	24	11	8	5	31:20	41
უიგანი	24	12	2	10	29:30	38
არსენალი	22	11	4	7	34:16	37
ბოლტონი	21	10	6	5	27:20	36
ბლეკბერნი	22	10	4	8	27:25	34
ვესტ ჰემი	23	9	5	9	31:32	32
სიტი	23	9	4	10	30:27	31
ჩარლტონი	22	9	3	10	27:31	30
ევერტონი	24	9	3	12	17:32	30
ფულემი	24	8	5	11	28:32	29
ნიუკასლი	22	7	5	10	20:25	26
ასტონ ვილა	23	6	8	9	26:32	26
მიდლსბრო	23	6	7	10	30:40	25
ვესტ ბრომვიჩი	24	6	5	13	21:32	23
ბირმინგემი	22	5	4	13	20:31	19
პორტსმუთი	23	4	5	14	16:39	17
სანდერლენდი	23	2	3	18	17:43	9

ჩემპიონატი. XXXI ტური

ბრაიტონი — ბარნლი 0:0; კარდიფი — მილუოლი 1:1; ჰალი — ქოვენთრი 1:2; იფსვიჩი — ლიდსი 1:1; პლიმუთი — საუთჰემპტონი 2:1; პრესტონი — კრ. პალასი 2:0; ქუინზ პარკი — ლესტერი 2:3; რედინგი — ნორვიჩი 4:0; უენსდი — ლუთონი 0:2

რედინგი	31	23	7	1	66:16	76
შეფილდი	30	20	6	4	57:28	66
ლიდსი	30	16	7	7	42:25	55
უოტფორდი	31	15	10	6	53:37	55
პრესტონი	30	12	14	4	39:22	50
კრ. პალასი	30	14	7	9	44:31	49
კარდიფი	31	12	9	10	42:37	45
ლუთონი	31	13	5	13	45:41	44
ვულვზი	30	10	13	7	34:26	43
ბარნლი	31	11	7	13	39:40	40
ქუინზ პარკი	31	10	9	12	36:44	39
ნორვიჩი	31	11	6	14	35:44	39
ქოვენთრი	31	9	11	11	42:45	38
პლიმუთი	30	9	11	10	29:36	38
სტოკი	30	12	2	16	35:44	38
იფსვიჩი	31	9	11	11	34:44	38
საუთჰემპტონი	31	7	14	10	30:34	35
ჰალი	31	8	9	14	32:38	33
დერბი	30	6	14	10	40:47	32
უენსდი	31	7	9	15	24:39	30
ლესტერი	31	6	11	14	32:42	29
ბრაიტონი	31	5	14	12	30:47	29
მილუოლი	31	5	12	14	23:43	27
ქრიუ	31	4	10	17	34:67	22

სიცილია, მილანი

ანჩელოტის დიდა აღარ ჰყავს

იტალია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

პალერმო 3:0 მილანი (0:1)

1:0 გონსალესი (10), 2:0 კარაჩოლო (18), 3:0 გონსალესი (49)

პალერმო: ანდუხარი, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა (ტერლიცი 73), გროსო, ბარონე, კორინი, მუტარელი, მ. გონსალესი (აკარდი 67), დი მიკელე, კარაჩოლო (გოდეაში 60)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

მილანი: კალაჩი, შიმიჩი (ფ. ინძაგი 50), ნესტა, სტამი, კალაძე (სერჟინიო 63), კაფუ, ფოგელი, ზეედორფი, იანკულოვსკი (პირლო 63), კაკა, ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კორინი

მსაჯი: აიროლდი

10 739 მაყურებელი

კარლო ანჩელოტის „მილანს“ მართლაც ცუდი დღეები უდგას. „როსონერი“ ამჯერად სიცილიაზე შერცხვა, თანაც როგორ — 0:3. „პალერმომ“ კი ამ გამარჯვებით თავის ისტორიაში მხოლოდ მესამედ შეძლო იტალიის თასის ნახევარფინალში გასვლა.

მილანელებს პირველი მატჩი 1:0 ჰქონდათ მოგებული და, როგორც ჩანს, ანჩელოტი ამ ანგარიშის შენარჩუნებას აპირებდა. შავ-წითლებმა თამაში 4-4-1-1 სისტემით დაიწყეს. გამოკვეთილი ფორვარდის ალბერტო ჯილარდინოს უკან კაკა იყო გამწესებული. შეხვედრის პირველი მომენტიც სწორედ მას შეექმნა და მე-8 წუთზე რომ გაეტანა, ალბათ ყველაფერი მორჩებოდა, მაგრამ ბრაზლიელმა მეკარეს ვერ აჯობა და „მილანს“ ეს შეცდომა ძვირად დაუჯდა.

რაც შეეხება „პალერმოს“ ტაქტიკურ სქემას, სიცილიელთა ახალმა მწვრთნელმა ჯუზეპე პაპადოპულომ ლუიჯი დელ ნერის საყვარელი 4-4-2-ის ნაცვლად 4-3-2-1-ით ითამაშა და არც შემცდარა. გამოკვეთილი თავდამსხმელი ანდრეა კარაჩოლო გახლდათ, ხოლო მის უკან მარიანო გონსალესი და დავიდე დი მიკელე მოქმედებდნენ. ამ სამეულმა ეფექტურად ითამაშა, განსაკუთრებით დი მიკელემ და გონსალესმა.

პირველი გოლი მე-10 წუთზე მარიანო გონსალესის ბრწყინვალე დარტყმით გავიდა. არგენტინელმა დაახლოებით 30 მეტრიდან ბურთი თავზე გადაატარა წინ გამოსულ ჟელკო კალაჩს. ცოტა ხანში გონსალესმა კარაჩოლოს გაატანინა, ხოლო 49-ე წუთზე იმავე გონსალესმა კალაჩისა და დარიო შიმიჩის შეცდომის წყალობით მეორედ იხეირა.

„უკეთეს დებიუტს ვერც ვინატრებდი და ამაზე მეტს ვერც გუნდს მოვთხოვ. ბიჭებმა ძალიან მოინდომეს და მაქსიმუმი გააკეთეს. უდიდესი როლი კი ქომაგებმა ითამაშეს. „პალერმოს“ საოცარი გულშემატკივრები ჰყავს. რა თქმა უნდა, ვეცდებით, თასის ფინალში გავიდეთ. ყველას დავანახეთ, რომ ეს შეგვიძლია“ — თქვა ჯუზეპე პაპადოპულომ.

კარლო ანჩელოტი: „მეტი სიფრთხილე გვამართებს, ასე თამაში არ შეიძლება. ჩემპიონთა ლიგის მატჩი ახლოვდება და ყურადღებით უნდა ვიყოთ. გოლები ძალიან მალე გავუშვით და, სამწუხაროდ, გონს მოსვლას დიდი დრო მოვანდომეთ“.

გიორგი კაკაბაძე

სალტო მორატი

ოჯახი, რომელიც ყველგანაა და ყველგან ოჯახია

ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ორი იტალიური გამოცემის, ჟურნალ „პანორამასა“ და გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ მიხედვითაა შედგენილი. „პანორამაში“ გამოქვეყნებული გახლდათ წერილი „ინტერის“ მეპატრონის მასიმო მორატის ოჯახის შესახებ, „კორიერე დელო სპორტს“ კი საკუთრივ მორატისთან ჰქოდა ინტერვიუ მიმდინარე ამბების შესახებ. ჩვენ ეს ორი პუბლიკაცია ერთმანეთს გადავაბით და შევეცადეთ, დაგვეხატა იმ კაცის სურათი, რომელმაც თავის საყვარელ გუნდს უკვე 700 მილიონი ევრო დააზარჯა.

სურათის აღწერა ასე დავიწყოთ: მასიმო მორატის მამამ, „ინტერის“ პირველმა მეპატრონე-მორატიმ, ანჯელომ, საფუძველი ჩაუყარა ოჯახს, რომლის წევრებიც იტალიური ცხოვრების ყველა განშტოებას მოედნენ: ეკონომიკას, მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკას, ხელოვნებას, ქველმოქმედებას და, ცხადია, სპორტს.

წარმოშობით მორატები ლომბარდიიდან მოდიან. „პანორამაში“ წერია, რომ მათ თავიდან ხის ფეხსაცმელები ეცვათ ანუ ღარიბები იყვნენ, მაგრამ ამა ქვეყნის საოცარი ალღო აღმოაჩნდათ და, როგორც ხედავთ, დროთა განმავლობაში მთელი კლანი ჩამოაყალიბეს. სხვათაშორის, დღეს ამ ოჯახის წევრები მედიჩებსაც კი ენათესავებიან. მართალი ეს მედიჩები მთლად ფლორენციელები არ არიან, მაგრამ მედიჩი მილანელიც მედიჩია.

როგორია მორატის ზოგადი ტიპი? ეს არის მდიდარი და ეკონომიკური ვალდებულებების მქონე, პოლიტიკასთან მოთამაშე არტისტული ადამიანი. სად არ იპოვით მორატის — სილვიო ბერლუსკონის კაბინეტში მინისტრის თანამდებობაზე, ანტიგლობალისტთა ლიდერებს, მენავთობეებს, ქველმოქმედებს თუ სპორტულ ვეშაპებს შორის, თუმცა მთავარი მორატი მაინც ორია, 69 წლის ჯანმარკო და 60 წლის მასიმო.

„ინტერის“ ავყია ქომაგთა ხუმრობა: ისინი მასიმოს მინიმოს ეძახიან — იტალიელები სიტყვა მაქსიმუმში ქ-ს არ კითხულობენ.

როდესაც მორატების კლანზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ჯანმარკოს მეორე ცოლი, ლეტიცია ბრიკეტო არნაბოლდი — უმკაცრესი და უქარიზმატულესი ქალბატონი, ტელეკომპანია **RAI**-ს ყოფილი დირექტორი, რომელმაც თავის გარშემო ფრიად უცნაური, ერთ მუშტად შეკრული კლანი შემოაწყო. მან შექმნა ოჯახი, რომელიც ხსენებული სინიორას ერთ დაძახილზე სტადიონზე, ტაძარსა თუ შინაური საქმეების მოსაგვარებლად და გასარჩევად მთელი შემადგენლობით იკრიბება. ამასწინათ სრულიად იტალიის ყურადღების ცენტრში მოექცა მორატების თავყრილობა ჩიგონიოლის საგვარეულო ციხე-კოშკში, სადაც ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ჯადას ქორწილი გადაუხადეს.

ვისაც ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯონ გოლსუორთის „ფორსაიტების საგა“ ახსოვს, მიხვდება, რასაც გულისხმობს „პანორამა“, როდესაც ჯანმარკოს ჯონ ფორსაიტს ადარებს და წერს, რომ იგი, 40-წლიანი გამოცდილებით მდიდარი ბიზნეს-მაგნატი, 21-ე საუკუნეში გაშლილი აფრებით შევარდა და ახლა პიაცა აფარიდან მშვიდობით წასავლელად ემზადება.

ცნობისთვის: პიაცა აფარი უმსხვილესი ბირჟის მისამართია.

სანავთობო ჰოლდინგს, რომელსაც ჯანმარკო მორატი ხელმძღვანელობს და რომელიც კალიარისთან ახლოს, საროკეში მდებარეობს, „სარასი“ ჰქვია. მისი აქტივები 3,9 მილიარდ ევროს უდრის, ხოლო მისი აქციები ძმებს თანაბრად აქვთ განაწილებული.

ისტორიიდან: ბერგამოელ გლეხ პაპის პაპა ანჯელოს ანუ მამა ანჯელოს მამის პაპას 14 ვაჟი და 7 ქალი ჰყავდა. ჰოდა, პაპის პაპა ანჯელოს მეცადინეობით, უკლებლივ ყველა ვაჟმა განათლება მიიღო და უკლებლივ ყველა ქალი მონაზონი გახდა, მაგრამ, რაც მთავარია, ფიზიკურად ჩამოყალიბდა მორატების კლანი, რომელიც მამა ანჯელომ მეოცე საუკუნეში იმპერიად გარდაქმნა.

ჯერ კიდევ 14 წლისა იყო მამა ანჯელო, როდესაც დანჯღრეული „ფიატ 103“-ით სერავდა იტალიის საავტომობილო გზებს, რათა ზეთები გაესაღებინა — სავაჭრო აგენტად მუშაობდა. 18 წლისამ ერთ-ერთ მილანურ ფირმაში ტელეფონისტი გოგონა, ერმინია გაიცნო, რომელსაც წლების შემდეგ მათი ოჯახის სამზარეულოში 1000-ლირიანებით შეგროვებული პირველი მილიონი გაუშალა მაგიდაზე. გავიდა კიდევ დრო და მამა ანჯელომ ტეხასში ძველი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა შეიძინა, ნაწილებად დაშალა და სიცილიაში ჩაიტანა, სადაც აამუშავა, ხოლო კიდევ რამდენიმე წელიწადში „ინტერი“ იყიდა. რა სიმაღლეებს მიაღწია „ინტერმა“ მის ხელში, აქ აღარ მოვყვებით, უბრალოდ ვიტყვით, რომ სწორედ მან შექმნა „ილ გრანდე ინტერ“, რომლის მწვრთნელმა ელინო ერერამ კატენაჩო მოიგონა და თამაშობდნენ სანდრო მაცოლა, ლუის სუარესი და სხვები. მამა ანჯელოს ჰყავდა ხუთი ღვიძლი და ერთიც აყვანილი შვილი.

და იმპერია გაძლიერდა. გაჩნდნენ შვილიშვილები, წამოვიდნენ სიძეები და რძლები, მოედნენ წერილის დასაწყისში ჩამოთვლილ სფეროებს. ან სადღა იყო ტელეფონისტი გოგონა მილანიდან — სინიორა ერმინია ოქროს სოლდოებს ჩუქნიდა ყველას, ვინც მისი მაღალი აზრით ამას იმსახურებდა. მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატ ეუჯენიო მონტალესა და ცნობილ იტელიელ ჟურნალისტ ქალ კამილე ჩედერნეს.

სხვათა შორის, ასეა ახლაც. მორატი კაცები ბიზნესში ტრიალებენ, ხოლო დები, ადრიანა, ბედი და ჯოია, ჯანმარკოს პირველი ცოლი ლიინა სოტისი, ზემოხსენებული მეორე მეუღლე ლეტიცია ბრიკეტო, მასიმოს თანამეცხედრე მილი ბოსი და სხვა ამბიციური ქალბატონები ფართო ასპარეზზე ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ხოლო „ინტერი“ რჩება „ინტერად“ და მას სრულიად კონკრეტული ადგილი უჭირავს, როგორც დონ მასიმოს ცხოვრებაში, ასევე სერია **A**-ს ცხრილში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წორედ შავლურჯ საკითხებზე ესაუბრა კლუბის მეპატრონეს „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტი და ჩვენც ამ საუბარს სულ ოდნავი შემცირებით გთავაზობთ.

— „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ შარშან „იუვენტუსისთვის“ ფაბიო კანავაროს მიყიდვით თქვენ ამ გუნდს ფაქტობრივად სკუდეტო მიყიდეთ.

— არ ვიცი, რამ ათქმევინა გალიანის ეს სიტყვები. მე ეს ხუმრობად ჩავთვალე, თუმცა ჩვენი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ნამდვილად გაბრაზდა. ის რაციონალური, მაგრამ თან ემოციური კაცია და საქმეს ყოველთვის გატაცებით აკეთებს.

— კეთილი. ახლა სხვა პრეზიდენტზე გკითხავთ. „ფიორენტინას“ შეფთან, დელე ვალესთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— სიმპათიით ვარ განწყობილი, თუმცა არ ვთანამშრომლობთ და არც ის მომწონს, ლიგასთან რომ დამაპირისპირა. მე კანონმორჩილი ადამიანი გახლავართ, ხოლო ლიგაში არის ხალხი, რომელიც მაღიზიანებს.

— კერძოდ?

— კერძოდ, ძამპარინი, სემერარო და გარონე, რომელთაც ფული არ აკლიათ, მაგრამ მაინც „ინტერის“ რესურსების მითვისებას ცდილობენ. მოდი, ჯერ თავიანთი ფული დახარჯონ და სხვისაზე მერე ილაპარაკონ. განა მე სხვა ბიზნესიდან არ მიმაქვს, სახსრები ფეხბურთში? რა უშლით ხელს, ასევე მოიქცნენ? პირდაპირ გეტყვით, ჩემი სატელევიზიო შემოსავლების 10 პროცენტი აფრიკელი ბავშვების შიმშილისგან დასახსნელად რომ მთხოვონ, მივცემ, მაგრამ ამ ხალხს ცენტსაც არ დავუთმობ.

— ბალაკზე რას ფიქრობთ?

— კარგი მოთამაშეა, მაგრამ მე ვერონს მინდა გადავაფიქრებინო წასვლა. მსურს, გაიგოს, როგორ უყვართ ქომაგებს და რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

— მანჩინი კი ამ ორს შორის დიდ განსხვავებას ხედავს.

— მართალიცაა. ბალაკს, ჩემი აზრით, უფრო თავდასხმისკენ მიუწევს გული, ვერონი კი უნივერსალური გახლავთ. ასე, რომორც მითხრეს, ბალაკი ანგარიშობს კონტრაქტს და დიდ ხელფასს ითხოვს, ამიტომ ჯერ დაფიქრება მჭირდება.

— მარკიონი რომ ვერ იყიდეთ, გული არ დაგწყდათ?

— გული რომ დამწყვეტოდა, ყველაფერს ვიღონებდი და ვიყიდდი. ჩვენ ხომ ფიგუ გვყავს.

— ელოდით, ფიგუ ასე კარგად რომ ითამაშებდა?

— ვაღიარებ, რომ ვყიდულობდი, მეგონა, მაღალ დონეზე ათ თამაშს თუ შეძლებს, ერთი-ორ გოლს გაიტანს და ერთი-ორ პასსაც გააკეთებს-მეთქი. ასეთ თავდადებას და ასეთ პიროვნებას ვერც წარმოვიდგენდი.

— აღგვიღწერეთ ეს პიროვნება.

— ძლიერი ადამიანია. იმავდროულად უბრალო კაცია, დამჯერი, მაგრამ ირონიული. რაღაცნაირი ქარიზმა აქვს, მოედანზე რომ გადიან, ჩემს ფეხბურთელებს ვაკვირდები და ვხედავ, რომ ისინი მეტოქეებს თითქოს მისკენ უთითებენ, ჩვენ ამ ბიჭთან ვართო.

— და მაინც, „ინტერში“ რაღაც ხდება. ტოლდომ სხვაგან გადასვლა ითხოვა.

— ფრანჩესკოსი მესმის, რეგულარულად თამაში სურს, თუმცა, როდესაც ველაპარაკე, დამიდასტურა, რომ „ინტერის“ ერთგულია.

— მატერაციზე თქვეს, გული „მილანისკენ“ მიუწევსო.

— „მილანს“ ჩემთვის მატერაცი არასდროს უთხოვია და რომც ეთხოვა, არ დავუთმობდი.

— და კრისტიანო ძანეტის მომავალი „იუვენტუსშია“?

— კრისტიანო ჩინებული ფეხბურთელია, რომელსაც სიამოვნებით შევინარჩუნებდი.

— პიზაროს საქმეები როგორღაა?

— „კალიარისთან“ შეხვედრის შემდეგ დავიდს ეგონა, რომ დისკვალიფიცირებული ვერონის ადგილს დაიკავებდა, მაგრამ მწვრთნელმა ძანეტი ათამაშა და მას ძალიან დასწყდა გული. ვფიქრობ, ეს ნორმალურია, მაგრამ გავიზიანდი, როდესაც გავიგე, რომ იმავე საღამოს მოჯიმ ერთი ამბავი ატეხა, პიზარო „ინტერში“ თავს ცუდად გრძნობსო. ვიცი, დავიდი სერიოზული ადამიანია, მაგრამ ჩვენთან, „ინტერში“ ბევრი დიდი ფეხბურთელია. მწამს, პიზაროს დროც დადგება.

— კამბიასოსგან ასე ათამაშებას ელოდით?

— ეს ბიჭი მაოცებს. გუნდში იმიტომ ავიყვანე, მომწონდა, ცნობილი მეტოქეების გვერდით რომ არ იბნეოდა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ყოველდღე იზრდება. ერთხელ, „ინტერის“ ყმაწვილებთან შეხვედრისას ასეთი რამ თქვა: თქვენ ახლა თამაშ-თამაშ უნდა გაიზარდოთ. გამარჯვებებზე ჩვენ, პროფესიონალები ვიზრუნებთ, თქვენ კი მშვიდად ითამაშეთ ფეხბურთი.

— გული რაღაზე გწყდებათ?

— რობი კინზე. ამასწინათ ვნახე „ტოტენჰემის“ თამაში და აღვფრთოვანდი. სწორედ ასეთი ფეხბურთის გამო ვიყიდე, მაგრამ ჩვენთან ვერ გაიშალა. დავდსიც ნახეთ, რა კარგად ათამაშდა. კიდევ იტყვიან, რომ ფეხბურთელების შერჩევაში ვცდებით?

პაპუნა კედია

ჰასი, მაესტრო

სისინიომ ფლანგი ბექემთან დაკავშირა

„რეალის“ ბრაზილიელმა ახალწვეულმა სისინიომ „სელტასთან“ თამაშში გალაქტიკოსთა შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ოკეანისგაღმელმა მცველმა ვიგოელთა კარის დალაშქვრა რობინიოს დარტყმის შემდეგ შეძლო და ყველას უჩვენა, რომ განახლებული „რეალის“ ერთ-ერთი სენსაციაა. „მიხარია, რომ ახლა კლუბში საქმეები კარგად მიმდის“ — უთხრა სისინიომ მედიას. მადრიდელთა ბრაზილიელ ფეხბურთელს „მარკას“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ.

— რას გრძნობთ მადრიდის „რეალში“ პირველი გოლის გატანის შემდეგ?

— ძალიან ბედნიერი ვარ. გრძნობების გადმოცემა მიჭირს, რადგან ესპანურს ახლა ვსწავლობ, თუმცა შეცდომითაც რომ ვთქვა, მაინც მიხვდებით, როგორ მიხარია...

ასე მგონია, სიზმაში ვარ. მადრიდის „რეალში“ თამაშს და ჩემს პირველ გოლს არასოდეს დავივიწყებ. „ბალაიდოსი“, „სელტას“ სტადიონი ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება. იქ განსაკუთრებული სიხარული განვიცადე.

— „რეალის“ ფანები კი გვარიანად ანერვიულეთ: როცა მეკარემ რობინიოს დარტყმა მოიგერია, თქვენ ცარიელ კარში ბურთის შეგდებას აგვიანებდით...

— პირდაპირ, მოუმზადებლად დარტყმას კარგად დამიზნება ვარჩიე. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა და „რეალის“ ფანობაც, იმედია, კმაყოფილია.

— მატჩის დროს ბექემის პოზიციაზე ბურთაობით გვაკვირვებდით, ამ დროს კი ინგლისელს მარჯვენა მცველის ადგილი ეჭირა...

— საქმე ისაა, რომ მე შეტევაში გადასვლა მიყვარს და როცა ასე ხდება, ბექემი მაზღვევს, რათა მეტოქემ უსიამოვნო სურპრიზი არ შემოგვთავაზოს. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ. დევიდის გვერდით თამაში ადვილია, რადგან აზრებს უცბად კითხულობს. თან ბექემი ფენომენია, საოცარი დარტყმა და ტექნიკა აქვს.

— თუმცა მე ვიცი, რომ „რეალში“ ყველაზე მეტად ზიდანით ხართ აღტაცებული...

— ზიდანი რონალდინიოსთან ერთად მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზეა. მე ზიზუს მაესტროდ ვთვლი და ვამაყობ, „რეალში“ მის გვერდით რომ ვთამაშობ.

— რობინიოს შესახებ რას გვეტყვით? სეზონი მშვენივრად დაიწყო, შემდეგ ვეღარ ყოჩაღობდა, თუმცა ახლა გუნდის მოგებებში ლომის წილი შეაქვს...

— რობინიო რამდენიმე ხნის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება, საამისოდ ყველა მონაცემი აქვს. „რეალის“ წევრები მას ძალიან აფასებენ.

— ფიქრობთ, რომ თქვენი გუნდი ამ სეზონში რაიმე ჯილდოს მოიგებს?

— ჩემი აზრით, ყველაფერს მოვიგებთ. არც ერთ ჯილდოს არ გამოვრიცხავ, რადგან საკმაოდ ამბიციური ვარ, ისევე, როგორც ყველა ჩემი თანაგუნდელი. მადრიდის „რეალმა“ ნებისმიერ დროს მაქსიმუმის მისაღწევად უნდა იბრძოლოს. პრიმერადივიზიონში „ბარსელონამ“ 13 ქულით გაგვასწრო, ამიტომაც ამ გათამაშებაში გამარჯვება ძნელია, ოღონდ არა შეუძლებელი. სამივე დიდ ტურნირს თანაბარი ყურადღებით მოვეკიდებით, ხელიდან გასაშვები არც ჩემპიონთა ლიგაა და არც სამეფო თასი.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ თქვენს თანამემამულე ჟულიო ბაპტისტასთან, ერთმანეთს ყოველდღე ხვდებით? „სევილიას“ ექსლიდერი „რეალში“ თავის ძალებს სრულად რატომ ვერ ავლენს?

— ესპანეთში ხალხს ბაპტისტა ოდენ მეგოლე ჰგონიათ, არადა, ჟულიო „რეალისთვის“ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან, გუნდური თამაშისთვის საჭირო სამუშაოებსაც ასრულებს. მალე ალბათ ბაპტისტა ისევ ბევრ გოლს გაიტანს, ოღონდ არ დაივიწყოთ რაც უკვე გითხარით, — ეს ფეხბურთელი გუნდის ერთიანობისთვის ძალიან საჭიროა.

— „ბალაიდოსზე“ „სელტასგან“ ასეთ წინააღმდეგობას თუ ელოდით? ვიგოელებს თამაშის გათანაბრებაც შეეძლოთ...

— წინააღმდეგობა ყოველთვის შეგვხვდება, აბა, ისე მოგებას ვინ გაჩუქებს. „რეალმა“ ზედიზედ სამ მატჩში გაიმარჯვა, რაც სამომავლო იმედებსაც გვაძლევს. ჯილდოს მოსაპოვებლად ზუსტად ამნაირი გზით უნდა ვიაროთ.

— თვლით, რომ სისინიომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი სრულად გამოიყენა?

— მთავარი ჩემთვის „რეალის“ გამარჯვება და ჯანმრთელობაა, ის, რომ მოედანზე ჩემი საქმე ასი პროცენტით შევასრულო. რა თქმა უნდა, პირადი წარმატებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ „რეალის“ გამარჯვებები უფრო გამახარებს. „სამეფო კლუბი“ დღეს გუნდური სულით მოქმედებს. ჩემს პოზიციაზე თამაში სალგადოს და დიოგოსაც შეუძლიათ, მაგრამ მადრიდის „რეალში“ ვინმესთან კონკურენციისთვის კი არა, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩადისთვის მოგების მოსატანად მოვედი.

ლადო ხომერიკი

ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დენი მერფის ხელში ჩაგდება მოასწრო. „მამლებს“ თანაქალაქელი „ჩარლტონისთვის“ 3,5 მილიონი დოლარის გადახდა მოუხდათ. „ტოტენჰემი“ ყოველთვის მომწონდა და ჩემდამი სიმპათია კლუბსაც ჰქონდა, მაგრამ ამაზე შორს საქმე არ მიდიოდა. მიხარია, რომ ამჯერად ყველაფერი გამოვიდა. ძალიან მინდა, მწვრთნელს, მარტინ იოლს თავისი პროექტის განხორციელებაში დავეხმარო და წარმატებას მივაღწიოთ“ — თქვა 28 წლის მერფიმ.

იტალიური „ლაციოს“ მეკარე მატეო სერენი სეზონის ბოლომდე „ტრევიზოში“ გაანათხოვრეს. ანჯელო პერუცის ჩრდილში მოქცეული რეგულარულად თამაშის ხათრით „სტადიო ტენიზე“ გადასვლას სიამოვნებით დათანხმდა. ამ პერიოდში „ლაციოში“ მის მაგივრობას აქამდე „ტრევიზოს“ ძირითადი მეკარე სამირ ჰანდანოვიჩი გაწევს.

არგენტინელი მცველი ლიონელ სკალონი „დეპორტივომ“ „ვესტ ჰემში“ გაანათხოვრა. ლონდონელებს ბარსელონელი გაბრის ხელში ჩაგდება სურდათ, მაგრამ ეს ვარიანტი რომ არ გამოვიდა, არჩევანი სკალონიზე გააკეთეს. შეგახსენებთ, რომ 27 წლის მცველს თამაში ნახევარდაცვაშიც შეუძლია.

იტალიურმა „მესინამ“ ორი ფეხბურთელი დაიმატა. კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ანტონიო რობერტო ნანი და ბერგამოს „ატალანტას“ მცველი დუჩიო ინოჩენტი სეზონის ბოლომდე სიცილიელთა კლუბში ითამაშებენ. მერე კი „მესინამ“ შესაძლოა, მათი კონტრაქტების გამოსყიდვაზეც იფიქროს.

ჰოლანდიური „აიაქსი“ სეზონის ბოლოს „ალკმაარის“ ვეტერან თავდამსხმელ კენეტ პერესს იყიდის. ტრანსფერი ოფიციალურად ზაფხულში გაფორმდება. „ერედივიზიონის“ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ამსტერდამელებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ინგლისურმა „ფულემმა“ ჩეხი მეკარე იაროსლავ დრობნი ზაფხულამდე ჰოლანდიურ „დენ ჰაგს“ ათხოვა. დრობნი „კრეიგენ კოტეჯზე“ სეზონის დასაწყისში გადავიდა, მაგრამ გუნდში დამკვიდრება ვერ შეძლო. „დენ ჰაგმა“ კი ცოტა ხნის წინ კორი გიბსი და ანჯელო მარტაც შეიმატა.

იტალიურმა „პალერმომ“ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. „რენცო ბარბერას“ ბინადრებმა „ჯენოადან“ გამოცდილ ნახევარმცველ ჯოვანი ტედესკის უხმეს, რომელიც სიცილიელთა გუნდში 4-ნომრიანი მაისურით იბურთავებს. კონტრაქტი 2007 წლის ივნისამდე გაფორმდა.

პრის სეზარი

ხუტოსი მივიდა და წავიდა

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ „ინტერმა“ და „ლაციომ“ მაინც შეძლეს შეთანხმება და როდრიგეს აპარესიდო სეზარის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. 31 წლის ბრაზილიელი, რომელსაც „ლაციალესთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, „ნერო აძურის“ რიგებში ივჯარის წესით გადავიდა. მერე კი ახალ გუნდთან, ალბათ, გრძელვადიან შეთანხმებას გააფორმებს.

სეზარის სანაცვლოდ, რომელიც „ლაციოში“ 2001 წელს „სან კაეტანოდან“ გადავიდა, დედაქალაქელებმა „ინტერის“ ახალგაზრდა ფეხბურთელების, ალბერტო კვადრისა და სიკეირა დე ოლივეირას, კონტრაქტების ნახევარი მიიღეს. სეზარის შემცვლელი კი „ლაციომ“ მალევე იპოვა. „სტადიო ოლიმპიკოზე“ სეზონის ბოლომდე „პალერმოს“ იმედისმომცემი ნახევარმცველი მასიმო ბონანი ითამაშებს.

ამასობაში „ინტერმა“ გუნდში ახლახან დაბრუნებული ლამაბოს ხუტოსი „რეჯინაში“ გაუშვა. „მალიორკადან“ გამოთხოვილ 25 წლის ბერძენს, წესით, „შავ-ლურჯების“ თავდასხმაში არსებული ვაკუუმი უნდა შეევსო, რადგან „ინტერი“ ხულიო რიკარდო კრუზისა და ადრიანოს ამარაღაა დარჩენილი, მაგრამ ბოლო მომენტში მილანური კლუბის უფროსობამ აზრი მაინც შეიცვალა და ხუტოსი რეჯიო კალბრიაში გაამგზავრა.

კოკი კანდელაკი

50 ათასი ევრო შეიძლება „ააფცქვნან“ ლისაბონის „სპორტინგის“ მეკარე რიკარდუს ჩემპიონატის რეგლამენტის დარღვევისთვის.

პორტუგალიის სუპერლიგის წესებით თავზე რეკლამის „გამოფენა“ აკრძალულია, ლისაბონელმა კი სწორედ ეს გააკეთა.

ცოტა ხნის წინ რიკარდუმ კონტრაქტი გააფორმა ფირმა „დობერმანთან“, რომელიც ტანსაცმელს კერავს. მეკარე რამდენჯერმე გამოჩნდა კეპით — ზედ დობერმანის გამოსახულებით — და ფირმას „არეკლამებდა“.

სუპერლიგის ჩინოვნიკებმა კეპზე თვალი დახუჭეს, რიკარდუს არაფერი უთხრეს. მაგრამ როცა სპორტინგელი, ლისაბონურ დერბიში „ბენფიკასთან“, კეფაზე „ამოკრეჭილი“ დობერმანით ტელეეკრანზე გამოჩნდა, ჩინოვნიკები აუშარდნენ.

ახლა მეკარეს გვარიანი ჯარიმა ელის, თვითონ კი ამბობს, რომ „დობერმანი“ ამ ჯიშის ძაღლების სიყვარულით „დავიხატე“ თავზე, ფირმის რეკლამა არც მიფიქრიაო.

ვაჟა ხუციშვილი

ჯონ ტრავოლტა მიმინოს როლში



ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრების თვითმფრინავი რომ აფრინდება და გეზს გერმანიისკენ დაიჭერს, რათა იქ მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებას, იმ თვითმფრინავის საჭესთან ჯონ ტრავოლტა იჯდება. ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი არა მხოლოდ დიპლომიანი პილოტია, არამედ „სოკეურუთა“ მთავარი სპონსორის“, „ქანტასის“ ელჩიც და ავსტრალიელთაგან ურუგვაელთა ძლევის შემდგომი ზეიმის სულისჩამდგმელიც.

ტრავოლტა ბევრჯერ უნახავთ ოზთა სანაკრებო მაისურაში და ახლა საბოლოოდ მოულაპარაკია იქაურ ფედერაციასთან, რომ არა მხოლოდ პილოტად იყოს, გუნდის საწვრთნელ ბანაკშიც იტრიალოს.

შვედური სუფრაც აკადემიაა

ერიკსონმა ჰიდინკს ინგლისი მიუჭახუნა

სვენ გორან ერიკსონმა დაიფიცა, რომ მის ადგილს გუს ჰიდინკი დაიკავებს. ეს ამბავი კი, აი, საიდან წამოვიდა — შვედი და ჰოლანდიელი ერთად უნახავთ სტოკჰოლმის ერთია რესტორანში. მაგან ქართველი არც ერთი არაა და ჭიქის ჭახა-ჭუხი არ ყოფილა, ერიკსონმა ჰიდინკს ინგლისის ნაკრებში მუშაობა ურჩია.

ნარესტორნალ შვედს ჰკითხეს, რაზე ისაუბრეთო, მან კი მიუგო — გემუდარებით, ფეხბურთზე ლაპარაკი არ მინდა, აქ მხოლოდ ვისკის დასალევად შემოვიარეო. მაგრამ, როცა ჟურნალისტებმა შეაწუხეს, ერიკსონი „დანებდა“ და თქვა: „ჩემ შემდეგ ნაკრებს გუს ჰიდინკი ჩაიბარებს და მისთვის გზა დამილოცია“.

სვენ გორან ერიკსონი ორიოდ დღის წინ სპორტში შეტანილი წვლილისთვის შვედეთის მეფე კარლ გუსტავმა დააფასა და დააჯილდოვა.

ჯილდოთი გახარებულს, შეიძლება, ახალი პრობლემა დაეწიოს, რადგან ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დაუკითხავად თავის შემცველელზე ილაქლაქა. თუმცა ერიკსონის საქმე უკვე გადაწყვეტილია — მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებიდან აიბარგება.

ხოლო 59 წლის გუს ჰიდინკი ავსტრალიელთა ეროვნულ გუნდს ჩაუძღვება გერმანიაში. იმავდროულად, იგი პსვ-ს მწვრთნელიცაა და, როგორც მისი აგენტი ამტკიცებს, ჰოლანდიელი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებში მუშაობას არ აპირებს.

აგენტმა კი თქვა, მაგრამ რესტორნიდან სხვა ამბავი გამოვიდა.

ვაჟა ხუციშვილი

ბოსნიელი ბესლიას რეკორდი

ვლადიმირ რომანოვის ფულით წელგამართული, შოტლანდიის ჩემპიონობის მსურველი „ჰართსი“ ოთხი ფეხბურთელით გაძლიერდა. ედინბურგულ კლუბს „სელტიკთან“ და „რეინჯერსთან“ გატოლება სურს, საამისოდ კი რომანოვი თანხას არ იშურებს.

ჰართსელებმა უკვე „მოაყუჩეს“ პორტუგალიელი მცველი ჟოზე გონსალვეში, რომელიც „თუნში“ თამაშობდა და 21-წლამდელთა ნაკრების წევრია. გონსალვეში შოტლანდიურ კლუბთან სავარაუდოდ სამწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს.

„ჰართსის“ მეორე შენაძენი მირსად ბესლიაა. ბოსნიელი ნახევარმცველი ედინბურგელებმა „გენკიდან“ გადაიყვანეს. 26 წლის ბესლიას სანაცვლოდ სქოთებმა მილიონ 500 ათასი დოლარი გადაიხადეს, რაც კლუბის ტრანსფერებში სარეკორდო ფასია.

მესამე ფეხბურთელი იუჰო მაკულაა, რომელმაც ფინურ „ჰიკიში“ 41 მატჩში 33 გოლი გაიტანა და ედინბურგული გუნდის მწვრთნელი გრემ რიქსიც ამით მოიხიბლა.

გუშინ კი შოტლანდიურმა კლუბმა კიდევ ერთ მოთამაშე, სლოვაკი მცველი მარტინ პეტსში დაიმატა. პეტსში პრაღის „სპარტამ“ „ჰართსს“ სეზონის ბოლომდე ათხოვა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთელები გახრეს

მანჩესტერის ბანკის ორმა მუშაკმა, 26 წლის პოლ შერვუდმა და 20 წლის ჰოლ ჰენლიმ ერთი თაღლითობა ჩაიდინეს: მათ „მანჩესტერ სიტის“ სამი ყოფილი ფეხბურთელის, ჯამილ ბელმადის, დანიელ ვან ბუიტენის და ვინსენტე ვუოსის ანგარიშებიდან გვარიანი თანხა, 350 ათასი გირვანქა მოხსნეს.

ჩაუქმა კლერკებმა შეიტყვეს, რომ ეს ფეხბურთელები ინგლისში აღარ არიან და მათ ანგარიშებს ხვრა დაუწყეს. 2002-05 წლებში მათ გვარიანად დაზარალეს ეს ანგარიშები, თუმცა, ფეხბურთელებს ბევრი არაფერი შეუმჩნევიათ.

კლერკებმა ორი სხვა კაციც ჩაითრიეს საქმეში, რომელთა ანგარიშებიც მოპარული ფულის შესანახად სჭირდებოდათ. ისინი ამ ფულით თამაშობდნენ ტოტალიზატორებსა და ბირჟაზე, იყიდეს სახლები, ისვენებდნენ სამხრეთ ამერიკაში და ა.შ. შარშან ამ დროს ბანკმა დარღვევები შეამჩნია და კლერკები სამსახურიდან დაითხოვა.

ახლა ჯეილებს ციხე ელით: მეთაურ შერვუდს 32 თვე, ჰენლის კი წელიწადი. სხვა ორი კაცი იძულებით 200-საათიან შრომას გასწევს.

ირაკლი გამყრელიძე

დანიელ ვან ბუიტენმა ბლომად ფული ისე დაკარგა, ვერაფერი გაიგო

ამხანაგური მატჩები

საუდის არაბეთი 1:2 ლიბანი
აშშ 5:0 ნორვეგია
ბაჰრეინი 1:1 სირია
კორეა 2:0 ხორვატია
ჰონკონგი 0:3 დანია

აფრიკის ეროვნებათა თასი 2006

D ჯგუფი. III ტური

განა 1:2 ზიმბაბვე

0:1 შიმეძა (60), 0:2 მვარუვარი (68), 1:2 ადამუ (90)

განა: აჯეი, პანციილი, გ. ისა, ჯ. მენსა, პაპოე, ედუსეი, იაკუბუ (ჰამზა 56), აპია, ჰამინუ (ატრამი 65), ტაგოე (ადამუ 46), ფრიმპონგი

ზიმბაბვე: კაპინი, დინია, მაკონესე, მატოლა, შიმეძა, ნიანდორი, ნენგომაშა, ლუპალა, ნდლოვუ (კასინაუი 51), მუშანგაჟიკე (კაონდერა 86), მვარუვარი

გაფრთხილება: კასინაუი

14 000 მაყურებელი

ნიგერია 2:1 სენეგალი

0:1 ს. კამარა (59), 1:1, 2:1 მარტინსი (79, 88)

ნიგერია: ენიემა, ოდია, იობო, ენაკარხირე, ტაივუ, აიილა, ობი, ობოდო (ლავალი 57), უტაკა (ობინია 77), მარტინსი, ს. მაკინვა (ნ. კანუ 52)

სენეგალი: ტ. სილვა, ჯოლი (დიხატე 68), ლ. დიატა, ს. დიავარა, ო. დაფი, ამდი ფეიბარი (ს. კამარა 44), ჰ. ბ. დიოპი, ა. კამარა, დიუფი, დ. კამარა (აბდულაიე ფეიე 79)

გაფრთხილება: ენაკარხირე, დ. კამარა, დაფი

7 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ნიგერია	3	3	0	0	5:1	9
სენეგალი	3	1	0	2	3:3	3
განა	3	1	0	2	2:3	3
ზიმბაბვე	3	1	0	2	2:5	3

მეოთხედფინალი: 3-4 თებერვალი

ეგვიპტე — კონგოს დრ
გვინეა — სენეგალი
კამერუნი — კოტ დივუარი
ნიგერია — ტუნისი

სარგებელი ᲓᲐ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

4 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	13	ეფერტონი-სიტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
19:00	14	მიდლსბრო-ასტონ ვილა	2.25	3.20	2.95	1.32	1.27	1.53
19:00	15	ვესტ ბრომიჩი-ბლეკბერნი	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
19:00	16	ბოლტონი-ეფვანი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	17	ვესტ ჰემი-სანდერლენდი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	18	ნიუკასლი-პორტსმუთი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
19:00	19	ბირმინგემი-არსენალი	4.30	3.30	1.75	1.86	1.24	1.14
21:15	21	მანჩესტერი-ფულჰემი	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24

5 თებერვალი

17:30	23	ტოტენჰემი-ჩარლტონი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
20:00	24	წელსი-ლიფერპული	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98

ინგლისი. ჩემპიონატი

4 თებერვალი

19:00	36	მიდლუელი-უესტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	37	კრისტალ პალასი-კარდიფი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
19:00	38	საუთჰემპტონი-დერბი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
19:00	39	ლუტონი-პალი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	40	ბარნლი-პლიმუთი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
19:00	41	სტოკი-პრესტონი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
19:00	42	ლიდსი-ქჩრ	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
19:00	43	ქრიუ-რედინგი	6.00	3.60	1.50	2.25	1.20	1.05
19:00	44	ქოვენთრი-ბრაიტონი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
19:00	45	ლესტერი-ფულჰემტონი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35

5 თებერვალი

15:15	46	ნორვიჩი-იფსვიჩი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64

6 თებერვალი

23:45	47	შეფილდი-უოტფორდი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80

ინგლისი. I ლიგა

3 თებერვალი

23:45	50	ტრანმერი-პალერმოელი	2.50	2.90	2.65	1.34	1.28	1.38
23:45	51	სუონსი-ბორნმუთი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90

4 თებერვალი

19:00	52	კოლჩესტერი-ბრედფორდი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	53	ბარნსლი-ბრისტოლი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
19:00	54	სუინდონი-დონკასტერი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
19:00	55	წესტერფილდი-ოკლინგემი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
19:00	56	სკანთორპი-დონსი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:00	57	ბლეკპული-ნოტინგემი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
19:00	58	ოლდემი-პორტ ვეილი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	59	ოუვილი-საუთენდი	2.60	3.10	2.45	1.41	1.26	1.36
19:00	60	ბრენტფორდი-უოლსოელი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
19:00	61	როტერჰემი-პარტლეფელი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48

ინგლისი. II ლიგა

4 თებერვალი

17:00	65	რექჰემი-უიკომბი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
19:00	66	ოქსფორდი-რიჩმენდი	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
19:00	67	ნორთჰემპტონი-რაშდენი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
19:00	68	ბარნეტი-შრიუსბერი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
19:00	69	ტორკი-ლეიტონი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
19:00	70	სტოკპორტი-ლინკოლნი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
19:00	71	შენსფილდი-მანსფილდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	72	როუერსი-ბერი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
19:00	73	პიტერბრო-წელტენჰემი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	74	კარლაილი-სესტერი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
19:00	75	ბოსტონი-დარლინგტონი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	754	ნოტსი-გრიმსბი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42

ინგლისი. კონფერენსი

4 თებერვალი

19:00	80	სკარბორო-ალტრინჩემი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
19:00	81	შორეიუმბი-ბარტონი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
19:00	82	სტოვენეიჯი-ალდერშოტი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89

შოტლანდია. II დივიზიონი

4 თებერვალი

19:00	83	სტირლინგი-ეარი	1.85	3.50	3.50	1.21	1.21	1.75
19:00	84	რეითი-ფეირფარი	2.05	3.40	3.00	1.27	1.21	1.59
19:00	85	შორტონი-პიტერჰედი	1.55	3.90	4.70	1.10	1.16	2.13

შოტლანდია. III დივიზიონი

4 თებერვალი

19:00	86	ისტ სტირლინგი-ალბიონი	3.55	3.40	1.80	1.73	1.19	1.17
19:00	87	ჭეინხ პარკი-არბროუთი	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
19:00	88	ელგინი-ისტ ფაიფი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
19:00	89	ბერიკი-მონტროზეხი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
19:00	90	კოუდენბითი-სტენჰაუსმუირი	2.40	3.30	2.55	1.38	1.23	1.43

გერმანია

I ბუნდესლიგა

4 თებერვალი

18:30	91	ჰამბურგი-არმინია	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
18:30	93	შალკე-დორტმუნდი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
18:30	94	აინტრახტი-ჰერტა	2.45	3.10	2.75	1.36	1.29	1.45
18:30	95	ლეისბურგი-ლაუტერნი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
18:30	96	ბაიერნი-ლეკერკუზენი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
18:30	98	ვერდერი-მაინცი	1.35	4.40	8.00	1.03	1.15	2.83
18:30	99	კიოლნი-შტუტგარტი	2.90	3.20	2.30	1.52	1.28	1.33

5 თებერვალი

20:30	100	ვოლფსბურგი-გლადბახი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
20:30	101	ჰანოვერი-ნიურნბერგი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84

გერმანია

II ბუნდესლიგა

3 თებერვალი

22:00	104	ბერგაუზენი-კარლსრუე	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
22:00	105	ზიგენი-საარბრიუკენი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
22:00	106	ბოხუმი-ალენი	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50

5 თებერვალი

18:00	107	პადერბორნი-კოტბუსი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	108	ოფენბახი-დინამო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
18:00	109	აუგ-ფრაიბურგი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
18:00	110	ალემანია-უნტერჰახინგი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
18:00	111	ბრაუნშვაიგი-პაწსა	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35

6 თებერვალი

23:15	112	მაინცი 1860-ფიურტი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62

იტალია. სერია A

4 თებერვალი

21:00	122	სიენა-ასკოლი	1.90	3.00	4.20	1.16	1.30	1.75
23:30	133	პარმა-რომა	3.40	3.10	2.10	1.62	1.29	1.25

5 თებერვალი

18:00	123	ინტერი-კიეკო	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
18:00	125	კალიარი-ქმპილი	1.90	3.00	4.20	1.16	1.30	1.75
18:00	126	ფიორენტინა-ლეჩე	1.35	4.50	7.50	1.03	1.14	2.81
18:00	128	ლივორნო-მესინა	1.80	3.00	4.90	1.12	1.31	1.86
23:30	130	ლაციო-მილანი	3.55	3.00	2.10	1.62	1.31	1.23
18:00	132	რეჯინა-პალერმო	2.45	2.90	2.90	1.32	1.32	1.45
18:00	135	სამპდორია-ტრევიზო	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
18:00	137	იუვენტუსი-უდინეზე	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42

იტალია. სერია B

3 თებერვალი

22:00	142	არეცო-ბრეშა	2.50	2.60	3.00	1.27	1.36	1.39
23:45	149	მანტოვა-ვიჩენცა	1.50	3.30	7.00	1.03	1.23	2.24

4 თებერვალი

19:00	139	მოდენა-ალბინოლეფეკ	1.65	3.00	5.80	1.06	1.28	1.97
19:00	140	ბარი-აველინო	1.75	2.80	5.50	1.07	1.32	1.85
19:00	141	პიაჩენცა-ბოლონია	2.45	2.70	3.00	1.28	1.34	1.42
19:00	143	ატალანტა-კატანია	1.90	2.70	4.40	1.11	1.32	1.67
19:00	144	პესკარა-კატანზარო	1.50	3.30	7.00	1.03	1.23	2.24
19:00	145	ტრიესტინა-კრემონეზე	1.65	3.10	5.20	1.07	1.25	1.94
19:00	146	ვერონა-რიმინი	2.00	2.70	4.00	1.14	1.33	1.61
19:00	147	წესენა-ტერნანა	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
19:00	148	კროტონე-ტორინო	2.65	2.70	2.70	1.33	1.33	1.35

ესპანეთი

I დივიზიონი

4 თებერვალი

21:00	169	მალაგა-ბალბაო	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:00	175	რეალი-ესპანიოლი	1.35	4.60	7.50	1.04	1.14	2.85
23:45	178	დეპორტივო-ვალენსია	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48

5 თებერვალი

20:00	168	სეტაფე-ალავესი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
22:00	170	ბარსელონა-ატლეტიკო	1.35	4.30	8.50	1.02	1.16	2.85
20:00	172	სარაგოსა-ბეტისი	2.00	3.10	3.70	1.21	1.29	1.68
20:00	173	ვილიარეალი-კადისი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
20:00	174	რასინგი-სელტა	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
20:00	176	ხოხიედადი-მალიორკა	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
23:45	177	სევილია-ესპანიოლი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69

ესპანეთი. II დივიზიონი

4 თებერვალი

21:30	179	ვალიადოლიდი-ალბასეტე	1.95	2.80	4.20	1.14	1.33	1.67
21:30	184	სპორტინგი-ტარაგონა	2.30	2.80	3.20	1.26	1.33	1.49
21:30	188	ჰერკულესი-რეალი(ბ)	2.40	2.80	3.00	1.29	1.33	1.44
21:30	189	ტენერიფე-ულესა	2.90	2.80	2.45	1.42	1.32	1.30

5 თებერვალი

15:00	180	სეგესი-ალმერია	1.80	3.00	4.40	1.12	1.27	1.78
20:00	181	ნუმანსია-კასტელონი	1.85	2.90	4.50	1.12	1.31	1.76
20:00	182	ლორკა-ელჩე	2.10	2.80	3.70	1.20	1.33	1.59
20:30	183	ლეგანეს-ფეერროლი	1.90	2.90	4.20	1.14	1.30	1.71
20:00	185	სიუდადი-მალაგა ბ	1.80	3.00	4.40	1.12	1.27	1.78
20:00	186	ეიბარი-ტენერიფა	2.50	2.70	3.00	1.29	1.36	1.42
20:00	187	ლეიდა-ესიდეო	2.10	2.80	3.45	1.20	1.30	1.54

საფრანგეთი. I დივიზიონი

4 თებერვალი

20:15	190	ჰაჭ-სტ-ეტიენი	1.70	3.10	5.00	1.09	1.26	1.91
23:00	191	ლანსი-სტრასბური	1.60	3.30	6.00	1.07	1.26	2.12
23:00	192	ხიშო-ლე ანი	2.30	2.90	3.10	1.28	1.32	1.49
23:00	193	ნიცა-ლილი	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
23:00	195	რენი-ძონკი	2.50	2.90	2.90	1.34	1.34	1.45
23:00	196	აიაჩიო-ოსერი	3.20	2.90	2.30	1.52	1.33	1.28
23:00	197	ტულუზი-ნანტი	2.05	3.00	3.70	1.21	1.31	1.65
23:00	198	მეცი-ნანსი	2.55	3.00	2.70	1.37	1.31	1.42

5 თებერვალი

21:00	194	ტრუა-შარსელი	2.80	2.90	2.60	1.42	1.34	1.37
23:45	199	ლიონი-ბორდო	1.65	3.20	5.65	1.08	1.27	2.04

საფრანგეთი. II დივიზიონი

3 თებერვალი

23:30	200	რეიმსი-ბასტია	2.70	2.70	2.55	1.35	1.31	1.31
23:30	201	კლერმონი-ბრესტი	2.15	2.70	3.60	1.19	1.34	1.54
23:30	202	კრეტეი-შატორუ	1.90	2.80	4.20	1.13	1.30	1.67
23:30	203	სედანი-ლიონი	1.65	3.10	5.20	1.07	1.25	1.94
23:30	204	ლავალი-მონპელიე	2.45	2.80	2.80	1.30	1.30	1.39
23:30	205	სეტე-გრენობლი	2.75	2.80	2.50	1.38	1.30	1.32
23:30	206	აბეენი-გენიონი	2.10	2.70	3.65	1.18	1.33	1.55
23:45	207	გენგამი-კეენი	2.25	2.70	3.30	1.22	1.33	1.48

5 თებერვალი

18:30	208	ვალენსიენი-ლე ავრი	1.65	3.00	5.30	1.06	1.25	1.91

6 თებერვალი

23:30	209	ისტრი-ლორიანი	3.20	2.70	2.30	1.46	1.33	1.24

ბელგია. I დივიზიონი

3 თებერვალი

23:30	210	ბრიუგე-ლიერსი	1.20	5.50	12.00	1.00	1.09	3.77

4 თებერვალი

21:00	212	ანდერლეხტი-გენკი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
23:00	213	გენტი-ბეერსხოტი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
23:00	214	ვესტერლო-ტუსკერინი	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
23:00	215	ლიერენი-რუმულარე	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
23:00	216	ბეერეენი-სტ-ტრუიდენი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
23:00	217	ვარეგემი-ხერეკლი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
23:00	218	შარლეროა-ბრიუსელი	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71

5 თებერვალი

21:00	219	სტანდარდი-ლეკეე	1.30	4.60	9.00	1.01	1.13	3.04

ჰოლანდია

I დივიზიონი

3 თებერვალი

23:30	230	ტილბურგი-როზენდალი	1.70	3.50	4.40	1.14	1.22	1.94

4 თებერვალი

22:30	231	ბრედა-სპარტა	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
22:30	232	ჰეგ-როტერდამი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
23:00	234	გრონინგენი-ჰერაკლესი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
23:00	235	ალკმაარი-ვიტესი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54

5 თებერვალი

17:30	237	ვალვაიკი-ნაიმეგენი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
17:30	238	ტვენტე-უტრეხტი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
15:30	239	ფეიენოორდი-აიაქსი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
19:30	240	ჰერენვენი-დენ ჰააგი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28

ჰოლანდია

II დივიზიონი

3 თებერვალი

23:00	241	აპელდორნი-ვეენდაალი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	242	ექსელსიორი-გრააფსხაპი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
23:00	243	ეინდჰოვენი-ფორდრეხტი	2.35	3.30	2.55	1.37	1.22	1.43
23:00	244	ემენი-ჰელშინდი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
23:00	245	ოგლხი-მაასტრიხტი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:00	246	კამბური-ალკმერ	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:00	247	ხიტარდი-ოსი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
23:00	248	დენ ბოსხი-ვოლენდამი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
23:00	249	ვენლო-სვოლე	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		5 თებერვალი						
17:30	250	ტელსტარი-ჰაარლემი	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
		პორტუგალია						
		სუპერლიგა						
		3 თებერვალი						
23:45	260	ბაავიშტა-ნავალი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
		4 თებერვალი						
23:45	253	ლეირია-ბენფიკა	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
23:45	254	ლეირია-ბენფიკა 1:0	1.00					
20:00	257	ესტრეი

სენსაციები ბერძნულ-რომაულად

ფავორიტებმა ევროპის გზა გაიმრუდეს

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი ოთხი წონით და გვარიანი სენსაციებით დაიწყო. დარბაზი დილის შეხვედრებიდან მეოთხე ფინალამდე ლამის პირთამდე გადაჭედილი იყო. რამდენჯერმე დაძაბულობამ პიკსაც მიაღწია. ერთხელ კი საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მივიდა. ინციდენტი 66 კილოგრამში, ნახევარფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ მოხდა. ლაშა ლომაძისა და მარად სურმანიძის მხარდამჭერები მალევე გააშველეს. ფინალის საგზური ბევრისთვის მოულოდნელად ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონმა სურმანიძემ გაიანაღდა. არადა, მეოთხედფინალების შემდეგ ლომაძის საჩემპიონო შანსებს ყველაზე რეალურად აფასებდნენ. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი ლომაძე ფინალში რომ ვერ გავიდა, ისე გაცხარდა, ბრინჯაომდე დარჩენილი ორი მეტოქე სულ ჰაერში ატრიალა.

მოულოდნელი იყო გამოცდილი შმაგი გოქაძის ნახევარფინალური მარცხიც. მას თბილისელმა ალექსანდრე ბადაგაძემ აჯობა, მოგვიანებით კი ჩემპიონიც გახდა. ფინალი სურმანიძის ტრავმის გამო ვადაზე ადრე შეწყდა. მანამდე გოქაძემ გაინაღდა ბრინჯაო.

ევროპის ჩემპიონი ირაკლი ჭოჭუა (55 კგ) ფინალამდე მივიდა, თუმც ოქროს შეხვედრა 19 წლის ბორჯომელ რევაზ ლაშხთან წააგო. ეს ბრძოლა გუშინ ერთ-ერთი ულამაზესი გამოდგა.

84 კილოგრამის შეხვედრებმა საქართველოს ნაკრების ორი უმთავრესი კანდიდატის, ბადრი ხასაიასა და მუხრან ვახტანგაძის გარეშე ჩაიარა. ხასაიას ტრავმა აქვს. მძიმე ოპერაციაც გადაიტანა და საერთაშორისო ხალიჩას სავარაუდოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაუბრუნდება, ვახტანგაძე კი შედარებით ადრე და იქნებ აპრილის ბოლოს მოსკოვში წამსვლელ შვიდეულში მოსახვედრადაც იბრძოლოს.

გუშინ საამისო სერიოზული განაცხადი თბილისელმა შალვა გადაბაძემ გააკეთა. მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონმა ფინალში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონ აკაკი ჯოხაძეს სძლია. ბრინჯაოს მედლები სენაკელმა დავით ლატარიამ და აჭარის სახელით მოჭიდავე პაატა ზაქარაძემ მოიპოვეს.

ფინალს მიღმა დარჩა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა გამოცდილი მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე. მას ნახევარფინალში ახალგაზრდა ოზურგეთელმა რევაზ ჭელიძემ მოუგო, თუმც ჩემპიონი ვერც ეს გახდა. დღის დამაგვირგვინებელი შეხვედრა თბილისელი გიორგი ჯობავას გამარჯვებით და ჩემპიონობით დასრულდა.

დღეს 60, 74 და 96 კილოგრამიანები ჭიდაობენ.

ოთარ მაღლაკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი ვერის ბაღი. 1-2 თებერვალი

55 კგ	84 კგ
1 რევაზ ლაშხი (ბორჯომი)	1 შალვა გადაბაძე (თბილისი)
2 ირაკლი ჭოჭუა (თბილისი)	2 აკაკი ჯოხაძე (გარდაბანი)
3 ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი)	3 დავით ლატარია (სენაკი)
3 გიორგი გვენეტაძე (აჭარა)	3 პაატა ზაქარაძე (აჭარა)
66 კგ	**+120 კგ**
1 ალექსანდრე ბადაგაძე (თბილისი)	1 გიორგი ჯობავა (თბილისი)
2 მარად სურმანიძე (აჭარა)	2 რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი)
3 ლაშა ლომაძე (ოზურგეთი)	3 მირიან გიორგაძე (თბილისი)
3 შმაგი გოქაძე (ქუთაისი)	3 გიორგი ნაცარაშვილი (თბილისი)

877 33-ეს წინ

მსოფლიოს თასი მსოფლიოს შემოიკრებს

გუშინ ვერაზე მდებარე სასტუმრო „ვერაზში“ „სპორტის სასახლეში“ გასამართი „მსოფლიოს თასისწინა“ პირველი პრესკონფერენცია მოეწყო. ძიუდოს ფედერაციის და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებმა მასმედიასთან შესახვედრად თან ნაკრების პირველი ნომრებიც იახლეს და მომავალ ტურნირზე დაწვრილებით ისაუბრეს. იქამდე კი ერთი საქმიანი ხელშეკრულებაც გააფორმეს. გუშინდელი დღიდან ფედერაციის სპონსორთა რიცხვს კომპანია „ჯეოსელიც“ შეემატა. კონტრაქტს მხარეებმა დარბაზშივე მოაწერეს ხელი

„ამიერიდან კავშირგაბმულობის პრობლემა ძიუდოისტებს მოხსნილი გვექნება — თქვა ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა — მთელ რიგ დახმარებებში როუმინგიც შევა, რომლითაც ახლახან ტოკიოში ყოფნისას უკვე ვისარგებლეთ. წინ ბევრი საერთაშორისო ტურნირი გველის და ინფორმაციის მიღება, თუ პირდაპირი ჩართვები ჟურნალისტებისთვის პრობლემა აღარ იქნება“.

საქართველოს ნაკრების წევრები და კანდიდატები გუშინვე „ჯეოსელში“ ჩაერთნენ. კომპანიის სახელით კომენტარი კი, საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორმა ირმა ცქიტიშვილმა გააკეთა:

— ჩვენთვის ასეთი ეროვნული ფედერაციის პარტნიორობა დიდი პატივია. მოხარულები ვართ, რომ ერთბაშად ამდენი ღირსეული აბონენტი შევიძინეთ.

საქმიანი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე წმინდა სპორტული პრესკონფერენცია დაიწყო. აქ პირველი სიტყვა ფედერაციის პრეზიდენტისა იყო.

„თბილისის საერთაშორისო ტურნირი ამ შაბათ-კვირას 33-ედ გაიმართება და მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტებს მოუყრის თავს — გვითხრა დილარ ხაბულიანმა — თითქმის ყველა წამყვანი ქვეყანა ჩამოდის. რუსეთსა და საფრანგეთს სულაც ორ-ორი შემადგენლობა მოჰყავთ. ძლიერი გუნდით უკვე გვწვივნენ იაპონელები. კუბელებსაც საუკეთესოები მოჰყავთ. ამ მომენტისთვის ოფიციალური განცხადებები თხუთმეტი ქვეყნიდან გვაქვს მიღებული. ხვალამდე, ალბათ, კიდევ ხუთიც დაემატება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ნაცვლიშვილმა პერსონალურად მოწვეული სპორტსმენები ახსენა. ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი არაშ მირესმაილი (73 კგ), სომეხი ევროპის ჩემპიონი არმენ ნაზარიანი (60 კგ) და აზერბაიჯანელი ევროპის ჩემპიონი ელჩინ ისმაილოვი (66 კგ) თბილისში დღედღეზე ჩამოვლენ და ტურნირზე აუცილებლად იჭიდავებენ. ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ ჟოაო დერლი ჟუნიორს (66 კგ) კი ჩამოსვლასა და ტატამზე გასვლაზე ნაცვლიშვილისთვის თანხმობა პირადად უთქვამს, სატელეფონო საუბრისას, თუმცა ბოლო დღეებში ტელეფონი საერთოდ გაუთიშავს და ზუსტად არავინ იცის, ჩამოვა თუ არა.

რუსებს განცხადებაში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის უსაყვარლესი სპორტსმენი, ოლიმპიური პრიზიორი დიმიტრი ნოსოვიც (81 კგ) შეუყვანიათ და პერსპექტიული ქართველი ერეკლე კოპალიანიც. გია ნაცვლიშვილმა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის კლუბ „საგარეჯოში“ გადმოყვანის სურვილი ერთხელაც გამოთქვა და გვითხრა — კოპალიანის საკითხზე ჯერ კიდევ ვმუშაობთო.

სულ „სპორტის სასახლეში“ უცხოეთის სახელით მოჭიდავე 6-7 ქართველი მოიყრის თავს. მათგან ყველაზე გამოცდილი ჯარჯი ზვიადაურია. ოლიმპიური ჩემპიონი 90 კილოგრამში იჭიდავებს.

ვიცე-პრეზიდენტმა „სპორტის სასახლის“ დარბაზსა და გასახდელებში ბოლო პერიოდში ჩატარებულ სამუშაოებზეც თქვა და მერიის დახმარებაც ახსენა. 33-ე ტურნირი წინამორბედებზე უკეთ განათებულიც იქნება და თბილიც. დარბაზში ტემპერატურა 20-22 გრადუსს მიაღწევს.

თბილისში ჯერ არ ჩამოსულა ევროპის ფედერაციის მიერ დამტკიცებული უახლესი ტატამები და ტაბლო. ისინი საფრანგეთიდან გასულ კვირაში წამოიღეს, მაგრამ სარფშია გაჩერებული. უამინდობის გამო ავტომობილების მოძრაობის შეფერხებას თურქეთის საზღვართან დაახლოებით 10-კილომეტრიანი რიგი დაუყენებია და ტატამ-ტაბლოთი დატვირთული მანქანაც იქაა გაჭედილი. იმედია, 2-3 დღეში ეს პრობლემაც მოგვარდებაო — დასძინა ნაცვლიშვილმა. სატურნიროდ თბილისშივე დაუმზადებიათ ლამაზი კვარცხლბეკიც. მასზე ჩემპიონის ასვლისთანავე ოქროსფერი შუქით ერთიანი აინთება. ვერცხლის მედალოსანზე — 2, ბრინჯაოსნებზე — 3.

შაბათს შეხვედრები დილის ათი საათიდან დაიწყება. ტურნირის ოფიციალური გახსნა კი — ხუთზე. მასში მონაწილეობას ანსამბლები „რუსთავი“ და „ორბი“ და მერაბ სეფაშვილი მიიღებენ. იქვე შედგება წინა 32 ტურნირის ლამაზი მომენტებით შექმნილი კლიპის პრემიერაც. ბილეთი ერთი ლარი ეღირება. რამდენიმე ათასი კი ჯარისკაცებს, სპორტსკოლებსა და პოლიციელებს უფასოდ დაურიგდებათ.

პრესკონფერენციის ბოლოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ტურნირის დასრულების შემდეგ გასამართ ერთობლივ ვარჯიშებზე ისაუბრა. მასში მონაწილეობას ქართველ ძიუდოისტებთან ერთად იაპონელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ლიტველები და უზბეკები მიიღებენ. დაახლოებით 70-კაციანი ჯგუფი ბორჯომში ორშაბათს გაემგზავრება და იქ რამდენიმე დღე დარჩება.

ოთარ მაღლაკელიძე

ჰერბერტს კენჭისყრა არ სჭირდება

გამთამაშებელი? შემონდი ან სხვა

კალათბურთის ფედერაციაში გორდონ ჰერბერტისთვის კონტრაქტის გაფორმებას ჯერ კიდევ ახალ წლამდე ვარაუდობდნენ, მაგრამ თვეზე მეტი გავიდა და საქართველოს ეროვნული ნაკრები ჯერაც უმწვრთნელოდაა. თუმც ქართული კალათბურთის გამგებლები გორდონის დანიშვნა-არდანიშვნის თაობაზე ნაკლებად ნერვიულობენ. მათი ყურადღება ახლა 12 თებერვალს გასამართ კენჭისყრისკენაა მიმართული, რომლის შემდეგაც ბევრი რამ უნდა გაირკვეს — დარჩება თუ არა შემონდ უილიამსი ნაკრებში, მოძებნიან თუ არა ახალ ნბა-ელ გამთამაშებელს, ვინ იქნებიან ჩვენი ნაკრების სპარინგ-პარტნიორები და ასე შემდეგ. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავასთან საუბარი გორდონ ჰერბერტის „საქმით" დავიწყეთ...

გურამ დოლენჯავიჩის ფოტო

— მომავალ კვირაში ჰერბერტთან ალბათ კონტრაქტს გავაფორმებთ, მასთან დაკავშირებით ყველაფერი შეთანხმებულია და სანერვიულოც არაფერი გვაქვს. არჩევანი უკვე გაკეთებულია, დღეს იქნება თუ ხვალ, ჰერბერტი ნაკრების მწვრთნელად ხელახლა დაინიშნება.

— ერთი თვის წინაც თითქოს დღე-დღეზე უნდა გაფორმებულიყო ჰერბერტთან კონტრაქტი, მაგრამ...

— დამიჯერეთ, მის დანიშვნასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ არსებობს. რამე საჩქარო რომ იყოს, კონტრაქტის გაფორმებსაც დავაჩქარებდით, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. ჩვენ ვთვლით, რომ ჰერბერტი უკვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელია, იურიდიული ფორმალობებიც მალე მოწესრიგდება.

— როდის შეუდგება ჰერბერტი ჩვენს ნაკრებში სამსახურს?

— ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლია, ყველაფერი 12 თებერვლის კენჭისყრის შემდეგ გადაწყდება. ამ დღეს გაირკვევა ის ნაკრებები, რომლებთანაც ჩვენ A დივიზიონში გადასასვლელად ვიბრძოლებთ. როცა კონკრეტული მეტოქეები და კალენდარი გვეცოდინება, მერე გადავწყვეტთ ვის ვესპარინგოთ და როდის. ჰერბერტის საქმიანობის დაწყების თარიღიც მერე გაირკვევა.

— წლეულს გათამაშების ფორმატი შეიცვალა. ეს ჩვენთვის ცუდია თუ კარგი?

— თუ წარმატების მიღწევა გვინდა, ფორმატს რა აზრი აქვს, ყველა თამაშის მოგებას უნდა ვეცადოთ და თუ გამოგვივა, A დივიზიონშიც გადავალთ. ამ ცვლილებით კი ის შეიძლება მოხდეს, რომ ექვსის ნაცვლად რვა თამაში მოგვიწიოს. B დივიზიონში სულ 14 გუნდი იქნება, რომლებიც სამ ჯგუფში განაწილდებიან. შედგება ორი ხუთიანი და ერთიც ოთხგუნდიანი ჯგუფი. პირველადგილოსნები პირდაპირ ნახევარფინალში გავლენ, რომლებსაც საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატებათ. A დივიზიონში ფინალში გასულ ორი გუნდი აინაცვლებს.

— ჩვენ რომელ კალთაში ვართ?

— მეორეში, პირველში ჰოლანდია, ავსტრია და ირლანდია იქნებიან. მაგალითად, ფინეთი და ბელარუსი მესამე კალათაში არიან, ანუ იმის თქმა მინდა, რომ იოლი გასეირნება არც ამჯერად გველის, საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ბრძოლა.

— ოფიციალური მატჩები სექტემბერში დაიწყება. მანამდე ვისთან გეგმავთ გაჯიბრებას?

— თითქმის ყველა იმ ქვეყნის ფედერაციას დავუკავშირდით, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა არიან. მოგეხსენებათ, მუნდიალის მონაწილეებს საკუთარი გეგმები უკვე მოხაზული აქვთ და მათთვის სპარინგის შეთავაზებას აზრი არ ჰქონდა. ვისაც შევეხმიანეთ, ყველამ მზადყოფნა გამოთქვა, მაგრამ ჯერჯერობით ვერავის შევუთანხმდებით, სანამ კენჭისყრა არ გაიმართება. ახლა ყველა ჯგუფებისა და კალენდრის შედგენას ელის.

— საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე რამდენი ხანი ექნება გორდონ ჰერბერტს გუნდის მოსამზადებლად?

— მინიმალური პერიოდი, რაც გუნდის საფუძვლიანად მომზადებისთვისაა საჭირო, ერთი თვეა, ჩვენი ნაკრებიც ერთი თვით შეიკრიბება საკვალიფიკაციო მატჩებში ჩაბმამდე.

— წინა ეტაპის წინაც ერთ თვე იყო შეკრებილი, მაგრამ წარმატების მიღწევა ნაკრებმა მაინც ვერ მოახერხა...

— მოგეხსენებათ, მაშინ ჰერბერტს სრულიად ახალ გუნდთან, უცნობ კალათბურთელებთან უწევდა მუშაობა, თანაც შარშან ნაკრები სრულად ფინეთთან მატჩამდე რამოდენიმე დღით ადრე შეიკრიბა. ზაზა ფაჩულიას და ნიკა ცქიტიშვილს კონტრაქტი ჰქონდათ გასაფორმებელი, შემონდ უილიამსი კი, მოგეხსენებათ, „ბარსელონამ" დროულად არ გამოუშვა. ახლა ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს.

— რა დარწმუნებული ხართ, რომ არ განმეორდება?

— ფაჩულიას ოთხწლიანი კონტრაქტი აქვს, შემონდ უილიამსისგან კი გარანტიებს მოვითხოვთ, რათა ნაკრებში პირველი გამოძახებისთანავე ჩამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან დამშვიდობება მოგვიწევს.

— ვთქვათ, უილიამსმა ვერ მოგცათ გარანტიები, მისი შემცვლელი მონახული გყავთ?

— ჯერ არ ვიტყოდი, რომ შემონდს ვემშვიდობებით. კენჭისყრის შემდეგ, როცა კალენდარს შევადგენთ, უილიამსსაც მაშინ დაველაპარაკებით. თუ ვერ დაგვპირდება, რომ ნაკრებში დროულად ჩამოვა, სხვა ნბა-ელს მოვძებნით. სახელმწიფოსგან ალბათ არ შეგვექმნება პრობლემა, რომ მორიგ ამერიკელს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

— აუცილებლად ამერიკელი უნდა იყოს?

— ამერიკელი, აბა, ისეთი ევროპელი, რომელსაც თავისი ქვეყნის არც ერთ საკობრივ ნაკრებში არ უთამაშია, რაში გამოგვადგება. ჩვენ ხეირიანი გამთამაშებელი გვჭირდება, ასეთებს კი თავიანთ ქვეყანაში ნაკრები უკვე დაჭაშნიკებული ექნებათ და ჩვენთან ველარ ითამაშებენ. ასე რომ, ამერიკაში უნდა ვეძებოთ შემონდ უილიამსის შემცვლელი, თუმც ვიმეორებ, მასთან ურთიერთობის გაწყვეტის შანსი დიდი არაა.

ირაკლი პერტაია



გურამ დოლენჯავიჩის ფოტო

გორდონ ჰერბერტთან პრობლემა არ არსებობს

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

31 იანვარი

ფილადელფია 99:123 ფინიქსი

ფილადელფია: სალმონსი (19)

ფინიქსი: ბელი (21), ნეში (17), დიაუ (14 ქულა, 13 პასი, 11 მოხსნა)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ვაშინგტონი 84:79 ინდიანა

ვაშინგტონი: არენასი (20)

ინდიანა: სტოიაკოვიჩი (17)

ნიუ ჯერსი 91:84 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ჯეფერსონი (19)

დეტროიტი: ბილაფსი (30)

ნიუ იორკი 97:130 ლეიკერსი

ნიუ იორკი: ვუდსი (15)

ლეიკერსი: ბრაიანტი (40)

დალასი 98:94 ჩიკაგო

დალასი: ჰოვარდი (22), ნოვიცკი (21)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (28)

საკრამენტო 98:91 დენვერი

საკრამენტო: მარტინი (25), არტესტი (19)

დენვერი: ენტონი (24), მარტინი (21)

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	23	20	53,5
ფილადელფია	23	22	51,1
ბოსტონი	18	27	40,0
ტორონტო	15	30	33,3
ნიუ იორკი	14	30	31,8
ცენტრალური			
დეტროიტი	37	6	86,0
კლივლენდი	26	17	60,5
მილუოკი	23	21	52,3
ინდიანა	21	22	48,8
ჩიკაგო	20	24	45,5
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	28	18	60,9
ვაშინგტონი	21	22	48,8
ორლანდო	18	24	42,9
ატლანტა	12	31	27,9
შარლოტი	11	35	23,9

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	35	10	77,8
დალასი	35	10	77,8
მემფისი	26	18	59,1
ნიუ ორლეანი	22	22	50,0
ჰიუსტონი	15	29	34,1
ჩრდილო-დასავლეთი			
დენვერი	25	22	53,2
მინესოტა	21	22	48,8
იუტა	21	24	46,7
სიეტლი	18	26	40,9
პორტლენდი	16	27	37,2
პასიფიკი			
ფინიქსი	29	16	64,4
კლიპერსი	25	17	59,5
ლეიკერსი	24	20	54,5
გოლდენ სტეიტი	20	23	46,5
საკრამენტო	19	26	42,2

რეგულარული ჩემპიონატი

კაროლინას მეფური

31 იანვარი

მონრეალი 2:8 კაროლინა

2:3 0:2 0:3

0:1 კოული (6), 1:1 ბეგინი (7), 2:1 ზედნიკი (12), 2:2 კევ. ადამსი (17), 2:3 კოული (20), 2:4 სტაალი (23), 2:5 კოული (26), 2:6 სტაალი (53), 2:7 კრ. ადამსი (55), 2:8 ნორდგრენი (57)

თურმე „კაროლინას" შემადგენლობის გაძლიერება სულაც არ სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს შეძენილმა პლეიმეიკერმა დუგ უეიტმა ვერ მოასწრო ყინულზე გასვლა, მისმა ახალმა კლუბმა გაანადგურა „მონრეალი" და თანაც ლიგის იანვრის თვის რეკორდი გაიმეორა — 13 მოგება. განსაკუთრებით, ერიკ კოულმა და ერიკ სტაალმა მოიწადინეს, რომლებიც, სავარაუდოდ, სწორედ უეიტთან შეამხანაგდებიან. პირველმა, კარიერაში პირველად, ოთხი ქულა მოაგროვა და ჰეთ რიქი შეასრულა, ხოლო მეორემ უკვე 3 შაიბამდე გაზარდა თავისი გოლების მარაგი. „ვფიქრობ, ჩვენი წარმატების საიდუმლო ის არის, რომ არც უკან ვიყურებით და არც შორეულ მომავალზე ვფიქრობთ, მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვზრუნავთ"... — თქვა ნამატჩევს გუნდის თავკაცმა პიტერ ლავიოლეტმა.

ტამპა 3:2 ტორონტო

1:1 0:1 0:1 0:1 0:0 1:0

ბულიტების სერიაში

0:1 კილგერი (17), 1:1 რიჩარდსი (20), 1:2 ტაკერი (31), 2:2 კრეიგი (45), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: ლეკავალიე

„ტორონტოს" მოთამაშეებს რომ სცოდნოდათ, რა განწყობით გამოვიდოდა მათთან სათამაშოდ „ტამპა", ეგებ უკეთ მომზადებულიყვნენ. საქმე ისაა, რომ წინა მატჩში „ელვები" მოულოდნელად „ვაშინგტონთან" დამარცხდნენ და გუნდის თავკაც ჯონ ტორტორელას თქმით, ისეთი გაწბილებულნი იყვნენ, ერთი სული ჰქონდათ, ყინულზე როდის გავიდოდნენ. „მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა ღირსეულად ითამაშეს და დამიმტკიცეს, რომ წინ თამაში მხოლო შემთხვევითობა იყო, თორემ ძალიან ვნერვიულობდი" — თქვა ტორტორელამ ნამატჩევს.

აილენდერსი 5:3 ვაშინგტონი

1:1 1:1 3:1

0:1 უილსი, (18), 1:1 კვაშა (19), 1:2 სპეტინგერი (21), 2:2 კვაშა (29), 3:2 შატანი (45), 3:3 ფრიზენი (46), 4:3 ბლეიკი (56), 5:3 ბლეიკი (60)

„ვაშინგტონს", პირველად ამ სეზონში, ალექსანდრ ოვეჩკინი აკლდა, რომელმაც საზარდულის ტრავმა მიიღო წინა მატჩში.

კოლორადო 3:2 მინესოტა

0:1 2:0 1:1

0:1 როლსტონი (2), 1:1 ტანგეი (22), 2:1 ჰეიდუკი (34), 3:1 ბრისბუა (43), 3:2 გაბორიკი (58)

ატლანტა 2:5 ბუფალო

2:1 0:2 0:2

0:1 კოტალიკი (6), 1:1 ჰოსა (12), 2:1 პეტროვიცკი (20), 2:2 ვნეკი (25), 3:2 პომინვილი (30), 4:2 გოსტადი (52), 5:2 დიუმონი (58)

ფინიქსი 4:7 ვანკუვერი

1:2 2:3 1:2

0:1 დ. სედინი (13), 0:2 გრინი (14), 1:2 სკაჩარდი (20), 1:3 ჰ. სედინი (26), 1:4 ბუკი (29), 2:4 დოუნი (35), 3:4 კომრი (37), 3:5 ოლუნდი (39), 3:6 ნელსუნდი (45), 4:6 რიჩი (50), 4:7 ბერტუცი (59)

„ვანკუვერს" ტრავმირებული ლიდერი მარკუს ნესლუნდი დაუბრუნდა. მისმა გამოჯანმრთელებამ მთელი გუნდი გაამხნევა, განსაკუთრებით კი, ცხადია, თანამემამულეები — ტყუპი სედინები, მატიას ოლუნდი და მუდმივი პარტნიორი, ტოდ ბერტუცი. უკლებლივ ყველამ თითო-თითო გოლი მიითვალა.

სამველ ღარიბიანი

handball euro 06 26 jan - 5 feb

ევროპის VII ჩემპიონატი

ზაგრები. შვეიცარია. 26 იანვარი — 5 თებერვალი

AFP-ის ფოტოდან

ნიკოლა კარაბატიჩმა სლოვენიელებს ხუთჯერ გაუტანა

ჩემპიონატი ჩემპიონს კარგავს

უხეირო დაიწყეს მეორე ჯგუფური ეტაპი სლოვენიელმა და რუსმა ხელბურთელებმა, რომელთაც მანამდე ქულაც არ ჰქონდათ დაკარგული. ორივე ლიდერი დამარცხდა, მაგრამ თუ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფრანგებისგან სლოვენიელთა ძლევა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, კონტინენტის ექსჩემპიონ რუსთა წაგება ისლანდიელებთან ჩემპიონატის უმთავრესი სენსაციაა.

თავიდან სლავები დაწინაურდნენ ვეტერან ედუარდ კოკშაროვის ორი ზუსტი ტყორცნით და ათი წუთი ლიდერობას ინარჩუნებდნენ. მერე კუნძულელებმა აიწყვიტეს, 12-წუთიანი მონაკვეთი 9:1 მოიგეს და ხუთი ბურთით გავიდნენ წინ — 15:10. ტაიმის მიწურულს რუსებმა ჩამორჩენა ორ ბურთამდე შეამცირეს — 15:17, შესვენების შემდეგ კი თუმც ძალიან ეცადნენ, ერთხელაც ვეღარ შეძლეს ანგარიშის თუნდაც გათანაბრება.

გაისლანდიელებულმა მეკარე როლანდ ერაძემ ექვსი წუთი დაჰყო მოედანზე და შვიდიდან მხოლოდ ერთი ტყორცნის მოგერიება შეძლო. მის ახალ ქვეყნელთაგან საუკეთესომ, გუდიონ-ვალურ სიგურდსონმა 11 ზუსტი ტყორცნა მიითვალა, ოთხჯერ იყორაღა სნორი გუდიონსონ-ონმა, რომელსაც ოთხ მატჩში 33 გოლი დაუგროვდა და კვლავაც ლიდერობს ბომბარდირთა სიას. კოკშაროვმა რვა გოლით 27-მდე გაზარდა თავისი მარაგი და უკვე მესამეა. მეორე პოზიციას (32) კი ყოფილი ბელარუსი სერგეი რუტენკა ინარჩუნებს, რომლის ახალ თანამემამულე სლოვენიელებს ფრანგებმა პირველივე ტაიმში მოუღეს ბოლო. ცხრაწუთიანი მონაკვეთი მათაც 9:1 მოუგეს მეტოქეს, შესვენებაზე კი ცხრაბურთიანი უპირატესობით წავიდნენ — 20:11. მატჩის მიწურულს სლოვენიელებმა მხოლოდ ოდნავ შეალამაზეს მარცხი.

უკიდურესად დაძაბულ-დრამატული გამოდგა მსოფლიოს ექსჩემპიონ ხორვატიისა და დანიის დაპირისპირება. დასაწყისი ექსიუგოსლავიელების იყო — 4:1 მეხუთე წუთზე. მეტოქე მალე წამოეწია — 5:5 და ასე თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა ტაიმის ბოლომდე. ხორვატები შესვენების შემდეგ ისევ დაწინაურდნენ — 19:15. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე დანიელები კვლავ წამოეწივნენ — 28:28. ანგარიში ბოლო წუთზეც საყაიმო იყო — 30:30, მაგრამ ორი წამიღა რჩებოდა, როცა გორან სპრემის გოლმა ხორვატიას დამსახურებული გამარჯვება მოაპოვებინა.

ასევე მინიმალური სხვაობით დასრულდა სერბეთ-ნორვეგიის მატჩიც, თუმც ეს მაინც აუტსაიდერთა ჯგახი იყო და ისინი სამედლო ბრძოლას გამოთიშულები არიან.

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა გერმანიამ უკრაინა კი გაანადგურა, მაგრამ უკვე იმდენი დაკარგა, საეჭვოა, პლეი ოფში გააღწიოს.

გია ახალაძე

გერმანია 36:22 უკრაინა
საფრანგეთი 34:30 სლოვენია
ესპანეთი 34:25 პოლონეთი

ისლანდია 34:32 რუსეთი
სერბეთი 26:25 ნორვეგია
ხორვატია 31:30 დანია

პირველი ჯგუფი

ესპანეთი	2	1	0	94:82	5
საფრანგეთი	2	0	1	87:84	4
სლოვენია	2	0	1	96:94	4
გერმანია	1	1	1	92:80	3
პოლონეთი	1	0	2	87:91	2
უკრაინა	0	0	3	77:102	0

მეორე ჯგუფი

ისლანდია	2	1	0	98:91	5
ხორვატია	2	0	1	92:88	4
რუსეთი	2	0	1	86:84	4
დანია	1	1	1	91:88	3
სერბეთი	1	0	2	86:94	2
ნორვეგია	0	0	3	74:82	0

ჰინგისის ნულები

ATP
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 380 000 დოლარი

პირველი წრე

რამონ დელგადო (პარაგვაი) — **ბობი რეინოლდსი** (აშშ) — 4:6 6:1 6:4; **ძსავიე მალისი** (ბელგია, 3) — **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — 6:2 6:2; **ჭილ მიულერი** (ლუქსემბურგი, 7) — **ბიორნ რენკვისტი** (შვედეთი) — 7:6 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — **რობი ჯინეპრი** (აშშ, 2) — 5:7 6:2 6:4; **ჯეფ სალცენშტაინი** (აშშ) — **რაზვან საბაუ** (რუმინეთი) — 7:5 7:6; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — **კევინ კიმი** (აშშ) — 6:4 7:5; **ტომი ჰაასი** (გერმანია, 4) — **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — 7:6 6:2; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **ოლივიე პატიენსი** (საფრანგეთი) — 6:3 7:6

PBZ ZAGREB. ATP
ზაგრები. ხორვატია. ჰარდი
საპრიზო 302 000 ევრო

პირველი წრე

მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 5) — **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — 6:3 4:6 6:4; **ილია ბოზოლიჩი** (სერბია-ჩერნოგორია) — **დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — 6:4 7:6; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — **დავიდე სანგინეტი** (იტალია) — 6:3 6:0; **კენეტ კარლსენი** (დანია) — **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — 6:2 6:4

MOVISTAR OPEN. ATP
ვინა დელ მარი. ჩილე. თიხნარი
საპრიზო 380 000 დოლარი

პირველი წრე

ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 2) — **ვასილის მაზარაკისი** (საბერძნეთი) — 6:1 6:2; **რუბერ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — 0:6 6:3 6:1; **სანტიაგო ვენტურა** (ესპანეთი) — **პოლ კაპდევილია** (ჩილე) — 6:3 0:6 6:3; **ხოსე აპასუსო** (არგენტინა, 3) — **ივან ნავარო პასტორი** (ესპანეთი) — 6:3 6:2; **ხორხე აგილარი** (ჩილე) — **გილერმო ჰორმაზაბალი** (ჩილე) — 6:4 6:2; **ლეოს ფრიდლი** (ჩეხეთი) — **კარლოს ბერლოკი** (არგენტინა, 7) — 6:7 6:3 6:1; **ხუან ანტონიო მარინი** (კოსტა-რიკა) — **ჰუგო არმანდო** (აშშ) — 6:2 6:3; **ბორის პაშანსკი** (სერბეთ-ჩერნოგორია, 8) — **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) — 1:6 7:5 6:3; **ალესიო დი მაურო** (იტალია) — **ადრიან გარსია** (ჩილე) — 6:7 6:1 6:4

PACIFIC OPEN. WTA
ტოკიო. იაპონია
საპრიზო 1 340 000 დოლარი

პირველი წრე

სამანტა სტოსური (ავსტრალია) — **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — 6:1 6:3; **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — **მეილენ ტუ** (აშშ) — 6:1 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი, 7) — **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — 6:3 6:2; **კლარა ქუკალოვა** (ჩეხეთი) — **ჯი ჟენგი** (ჩინეთი) — 7:5 7:6; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — **იუნ-იონგ ჩო** (სამხ. კორეა) — 6:0 6:0

მეორე წრე

ელენა დემენტიევა (რუსეთი, 2) — **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — 2:6 6:1 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 5) — **საორი ობატა** (იაპონია) — 6:4 6:4

ტოკიოს ტურნირი ნელ-ნელა ხურდება. ჩოგბურთელებმა უკვე პირველი მეოთხედფინალური წყვილი დააკომპლეტეს, მაგრამ სანამ ამას უფრო დაწვრილებით განვიხილავდეთ, პირველი წრის ერთ მატჩზე მაინც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

საქმე ისევ და ისევ მარტინა ჰინგისს და მის თამაშს ეხება. შვეიცარიელი მართლაც ფანტასტიურად თამაშობს, რასაც მისგან არავინ მოელოდა. ყოველი შემთხვევისთვის, ასე მალე სამწლიანი პაუზის შემდეგ. მან, ამჯერად იაპონიის დედაქალაქში პირველივე შეხვედრაში დაანახა ყველას, რომ კორტს სულ უფრო უშინაურდება. მარტინამ ამჯერად კორეელი ჩო „გაფცქენა“ და მას 6:0, 6:0 მოუგო.

პირველი მეოთხედფინალური წყვილი კი ელენა დემენტიევამ და ნიკოლ ვაიდიშოვამ შეადგინეს. მეორე წრის შეხვედრები მათ ძალიან განსხვავებულად ჩაატარეს. თინეიჯერმა ჩეხმა ყოველგვარი აღელვების გარეშე მოუგო საორი ობატას და უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მეორე მასპინძელი გამოთიშა ასპარეზობას. დემენტიევას კი უკვე ცუდად, მაგრამ მაინც დამკვიდრებული ტრადიციისამებრ დიდი წვალების გადატანა მოუხდა და კატარინა სპებოტნიკს ჰატარა იღბალი რომ ჰქონოდა, შეიძლება, მეოთხედფინალში რუსის მაგივრად სწორედ ის გასულიყო.

ATP-ის ტურნირებიდან კი ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო დელრეი ბიჩში მიმდინარე ასპარეზობაა. გუშინ იქ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — კორტებს პირველივე წრიდან გამოაკლდა მეორე ნომრად განთესილი რობი ჯინეპრი, რომელიც შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ძალიან ცუდად თამაშობს. ამჯერად მან კორეელ ლისთან „მოახერხა“ წაგება.

მატჩის შემდეგ რობი ძალიან იმედგაცრუებული იყო: „დღეს საერთოდ არაფერი გამომდიოდა. ვერც დავრბოდი, ვერც ვურტყამდი... ავსტრალიაშიც სულელურად გამოვვარდი და აგერ ეხლა პირველივე წრეში წავაგე... მან (ლი) მართლაც კარგად ითამაშა და სოლიდურადაც გამოიყურებოდა, მაგრამ ეს ვერ მამართლებს.“

სამაგიეროდ, შემდეგ წრეში გავიდა ტომი ჰაასი, რომელიც სეზონის საწყის ეტაპზე ძალიან კარგად გამოიყურება და მელბურნშიც მშვენივრად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე ეტაპიდან გამოეთიშა ასპარეზობას, იგი როჯერ ფედერერსაც ტოლ-სწორად ებურთავა. გერმანელმა ამერიკაშიც დაამტკიცა, რომ სეზონისთვის კარგად არის მომზადებული და ორ სეტში მოუგო ახალგაზრდა რუს იგორ კუნიცინს.

„ყოველთვის ძნელია ისეთ ჩოგბურთელთან თამაში, რომელსაც არ იცნობ, ამიტომ პირველ სეტში ცოტა გამიჭირდა, მერე კი ნორმალურად ვითამაშე... გრილოდა და ეს ძალიან დამეხმარა“ — როგორც ჩანს, ჰაასს ავსტრალიის თაკარა მზე ჯერ კიდევ არ დავიწყებია.

კახა ლომაშვილი

ლიბი ლენტონი: 53.42

ავსტრალიელმა ლიბი ლენტონმა მელბურნში თანამეგობრობის ქვეყანათა თამაშებში 100 მეტრი თავისუფალი სტილით 53,42 წამში გაცურა და მსოფლიოს ახალი რეკორდი გამოაცხო. ეს სურათი ორი წლის წინათაა გადაღებული სიდნეიში, როცა ლენტონმა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც გაიმარჯვა.

ევროპის ერთა თასი 2006. პირველი ტური

საქართველო VS რუსეთი

4 თებერვალი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 15 საათი

გუშინ საქართველოს ნაკრებმა პირველად ივარჯიშა სრული შემადგენლობით. საფრანგეთიდან ჩამოსვლა დაუგვიანდათ ნაკრების კაპიტანს ექსანპროვანსელ ილო ზედგინიძეს და მის თანაკლუბელს, შერკინების ბურჯ გიორგი კუთარაშვილს. მათთან ერთად გამთენიისას ჩამოფრინდა „ანდორას“ მცველი ოთარ ბარკალაია.

სარუსეთო ოცეული

დაიწყებენ გუნდი

15 ოთარ ბარკალაია
14 ირაკლი მაჩხანელი
13 მალხაზ ურჯუკაშვილი
12 ირაკლი გიორგაძე
11 ბესიკ ხამაშურიძე
10 პალიკო ჯიმშელაძე
9 ირაკლი აბუსერიძე
8 ბესიკ უდესიანი
7 რატი ურუშაძე
6 გია ლაბაძე
5 მამუკა გორგოძე
4 ილია ზედგინიძე (კაპ)
3 დავით ზერაქაშვილი
2 აქვსენტი გიორგაძე
1 გოდერძი შველიძე

მარქაფა

16 გიორგი კუთარაშვილი
17 ავთო კოპალიანი
18 ლევან დათუნაშვილი
19 ზვიად მაისურაძე
20 ბიძინა სამხარაძე
21 თემურ სოხაძე
22 გიორგი შკინინი

სრულიად საქართველო სარუსეთოდ შეიკრიბა

ბორჯღალოსნებმა დილით კუს ტბის მიდამოებში ირბინეს, მერე წაიბურთავეს და საღამოს ვარჯიშამდე სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბრუნდნენ. საღამოს ვარჯიში უფრო დატვირთული და ხანგრძლივი იყო.

მწვრთნელებმა ჯერ შეახურეს ბიჭები, მერე დათოვლილ მოედანზე ბოჭვებში ავარჯიშეს, რასაც ორმხრივი თამაში მოჰყვა. ამან დაახლოებით ერთი საათი წაიღო და როდესაც მორაგბეები თოვლში ამოიგლანგლნენ, ცოტათი შეასვენეს. ამის შემდეგ უკანა ხაზი ცალკე გაიხმო ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა, შერკინება კი პაატა ნარიმანაშვილმა დაიმარტოხელა და კომბინაციები დაამუშავებინა. ჩვენებმა ბოლოს აუტებში ივარჯიშეს და წვრთნის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ ავტობუსსაც მიაშურეს.

გუშინ არ უვარჯიშია ბორჯღალოსანთა შუამარბ ირაკლი გიორგაძეს, ჩვენების მორკინალ აქვსენტი გიორგაძის უმცროს ძმას. იგი სასტუმროში დარჩა. როგორც ნაკრების ექიმმა ბესო აბრამიშვილმა გვითხრა, უმცროს გიორგაძეს გრიპი აქვს მსუბუქ ფორმაში. დათოვლილ მოედანს და ყინვას იმიტომაც მოარიდეს. „საგანგაშო არაფერია, ირაკლი რუსეთთან მატჩს სრულიად ჯანმრთელი შეხვდება“ — გვითხრა აბრამიშვილმა.

ნავარჯიშევს ბორჯღალოსანთა მთავარ მწვრთნელ **მალხაზ ჭეიშვილს** *გამოველაპარაკეთ:*

— დღეს პირველად ივარჯიშეთ სრული შემადგენლობით. ბიჭები როგორ ფორმაში არიან?

— ერთი შეხედვით, კარგად არიან მომზადებულები — ფიზიკურადაც და ტაქტიკურადაც. ეს ბუნებრივიცაა, სამი მორაგბის გარდა, ყველა ლეგიონერია და თავიანთ კლუბებში საფუძვლიანად ვარჯიშობენ. ტრავმაც არავის აწუხებს, თუმც უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

— რას გულისხმობთ? იმას ხომ არა, რომ რუსები ორი კვირით იყვნენ სამხრეთ აფრიკაში, თქვენ კი სამი დღე გაქვთ მოსამზადებლად და ისიც გაყინულ მოედანზე?

— დიახ, ოღონდ ვარჯიშების სახშირეზე და პირობებზე იმდენად არ მწყდება გული, როგორც ბიჭების რაც შეიძლება მეტხანს ერთად ყოფნაზე. ესენი სამი დღე იქნებიან ერთად, რაც ძალიან ცუდია. ასეთ დროს ჭირს შეთამაშება და გუნდის შეკვრა.

— ეს ფაქტორი რუსებისთვის პლუსია?

— რა თქმა უნდა, ისინი მოშზადებული და შეკრული გუნდით მოდიან.

— რომელი მორაგბის არყოფნაზე გწყდებათ გული?

— ილო მაისურაძეზე. საზარდული აწუხებს და მისი არყოფნა დიდი დანაკლისია.

— გუნდში სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობაა?

— დიახ, საუკეთესოები შეკრიბეთ.

გაჩო სვანიძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარგანი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოჭორიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბარო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge